პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 28 (5129) | პარასკევი, 4 თებერვალი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთშია:

გ. ი. პეტროვსკის 60 წელი შეუსრულდა: საქ. კ. პ. (ბ) ც. კ.-ის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მისალმებები. (1-ლი გვ.)
დაუზოგავად ვამხილოთ კარიერისტები და თავდამზღვევები („პრავდის“ მოწინავე)
დებულება სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის შესახებ. — სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება (1-ლი გვ.)
ახალი ღონისძიებანი მოდრეიფე ყინულიდან პაპანინის ჯგუფის გადმოსაყვანად. (1-ლი გვ.)
მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 20 წლისთავისათვის მომზადების შესახებ — საქ. ა. ლ. კ. კ. ც. კ-ის, თავდაცვა-ავიაქიმის სსრ კავშირისა და რსფსრ-ის ცენტრალური საბჭოს დადგენილება. (მე-2 გვ.)
აკაკი წერეთლის გარდაცვალების 23 წლისთავი. (მე-3 გვ.)
შ. რადიანი — აკაკი წერეთლის ლიტერატურული მემკვიდრეობა (მე-3 გვ.)

დაუზოგავად ვამხილოთ კარიერისტები და თავდამზღვევები

სრული მოწონებით შეეგება მთელი ჩვენი პარტია საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილებას. ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილებაში, რომელიც გამსჭვალულია პოლიტიკური სიბრძნით, პარტიამ და ქვეყანამ კვლავ ამოიკითხეს დიადი სტალინური ზრუნვა ადამიანზე, პარტიის წევრზე, მუშაკზე.

უდიდესი ისტორიული მუშაობა გასწია ჩვენმა პარტიამ თავისი რიგების გასაწმენდად შენიღბული ტროცკისტ-ბუხარინელი ფაშისტი ბანდიტებისაგან, დამპალი ელემენტებისაგან, პარტიისათვის უცხო ადამიანებისგაან. ამ გაწმენდმა მუშაობამ მსოფლიოს დაანახვა პარტიის რკინისებური ერთიანობა, მისი დარაზმულობა სტალინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, მისი საბრძოლო მზადყოფნა, მისი ღრმა და სისხლხორცეული კავშირი ხალხთან.

სტალინური ცენტრალური კომიტეტი აფრთხილებს მთელ პარტიას თვითდამშვიდებულობის განწყობილებისაგან. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმი მთელი სიძლიერით ადასტურებს განუხრელი ბოლშევიკური სიფხიზლის მოთხოვნას. პარტიის ყველა მტერი როდია გამომჟღავნებული და მხილებული. ხალხის მტრები — ფაშიზმის აგენტები, ჯაშუშ-დივერსანტი არამზადები, — შენიღბვის ახალ ფორმებს მიმართავენ. იდიოტური ავადმყოფობის — უდარდელობის ყოველგვარი გამოხატულება ხვრელს უხსნის ცბიერ და ბილწ მტერს.

ლენინ-სტალინის პარტია მოითხოვს ბოლშევიკებისაგან ნამდვილს, და არა მოჩვენებითს სიფხიზლეს, და აფრთხილებს პარტიულ ორგანიზაციებს, რომელნიც ზოგჯერ კუდში მისდევენ მყვირალა კარიერისტებს. საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა თავის დადგენილებაში მიგვითითა, რომ გარიცხვის საკითხისადმი და გარიცხულთა საჩივრების განხილვის საკითხისადმი საერთო, უსულგულო-მექანიკური, ავტომატური მიდგომის ფაქტს ადგილი ჰქონდა „უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ კომუნისტებს შორის არსებობენ, ჯერ კიდევ არ არიან გამომჟღავნებული და მხილებული **ცალკეული კარიერისტი-კომუნისტები, რომლებიც ცდილობენ თავი გამოიჩინონ და დაწინაურდნენ პარტიიდან გარიცხვებით, პარტიის წევრთა წინააღმდეგ რეპრესიებით, ცდილობენ პარტიის წევრთა წინააღმდეგ ხელაღებითი რეპრესიების გამოყენების გზით თავი დაიზღვიონ სიფხიზლის ნაკლებობაში შესაძლო ბრალდებებისაგან**“.

ყველაზე უფრო ზრუნავს რა თავის პირად მდგომარეობაზე, პირად კეთილყოფაზე, მყუდროებაზე, კარიერისტს ეშინია ყოველგვარი პასუხისმგებლობისა, გაურბის მას. ცხოვრების ყველა შემთხვევაში იგი მიისწრაფის თავი დაიზღვიოს. აქედან გამომდინარეობს საზიზღარი საქმიანობა ასეთი, უკაცრავადპასუხია, კომუნისტისა, რომელიც ცდილობს დაწინაურდეს გარიცხვებით, ცდილობს თავი დაიზღვიოს პარტიის წევრთა წინააღმდეგ რეპრესიების საშუალებით. კარიერისტის ცილისწამებლური საქმიანობა ერთ მიზანს ისახავს: დაწინაურდეს თვითონ, თავი დაიზღვიოს სიფხიზლის ნაკლებობაში შესაძლო ბრალდებებისაგან, მიიწეროს ვითომდა დამსახურება მტრების მხილებაში.

ჩვენი პარტია მუდამ აწარმოებდა გააფთრებულ და დაუზოგავ ბრძოლას საზიზღარ თავკერძა-კარიერისტებთან, რომელნიც ეტმასნებოდნენ ბოლშევიკების გამარჯვებულ პარტიას. ლენინი მოითხოვდა, რათა დაუზოგავად გასწორებოდნენ კარიერისტებს, რომელნიც ხშირად ფუშავდნენ პარტიის პოლიტიკას, განირჩეოდნენ უხეში, ცინიკური. ხეპრული დამოკიდებულებით მასებისადმი.

კარიერიზმს, ცილისწამებას, ადამიანისადმი უსულგულო-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას — კაპიტალიზმის ამ ნაშთებს დაუზოგავი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. დროა ვამხილოთ კარიერისტ-კომუნისტები, ჩამოვგლიჯოთ მათ ყალბი სიფხიზლის ნიღაბი, სააშკარაოზე გამოვიყვანოთ ისინი. კარიერისტი დაჰკანკალებს მოტყუებით მოპოვებულ თავის მდგომარეობას პარტიაში. სწორედ ამიტომ ჰქმნის იგი პანიკას, იწყებს აურზაურს, ფაციფუცს. სწორედ ამიტომ ქარაფშუტულად მოითხოვს იგი გარიცხვებს პარტიიდან რაიმე ფორმალური საბუთით ან სრულიად უსაბუთოდ. პარტიის იმ წევრთა მიმართ, რომელთაც რაიმე დაუშავებიათ, მისთვის არ არსებობს სასჯელის დადების სხვა ღონისძიებანი, გარდა ერთისა — გარიცხვისა. კარიერისტ-კომუნისტი აუცილებლად გაილაშქრებს იმ ამხანაგების წინააღმდეგ, ვინც გაბედავს წამოაყენოს სასჯელის უფრო ნაკლები ღონისძიება, და, თითქოს არაფერიაო, მიაკრავს მათ მტრების ხელშემწყობთა იარლიყს.

ამით კარიერისტები უძნელებენ პარტიას ხალხის მტრებისაგან, მიმალული ტროცკისტ-ბუხარინელი ბანდიტებისაგან გაწმენდის მუშაობას, რომელნიც აგრეთვე იყენებენ ცილისწამებასა და პროვოკაციას პარტიის პატიოსანი წევრების წინააღმდეგ. ნაცვლად იმისა, რომ გამოაშკარაონ კარიერისტთა ყველა მაზინაცია, რომლებიც ხელსაყრელია მტრებისათვის, პარტიული ორგანიზაციების ზოგიერთი ხელმძღვანელები არაიშვიათად თვითონ უქმნიან მათ პარტიის რიგების სიწმინდისათვის ფხიზელ მებრძოლთა შარავანდედს. ამ მხრივ საგულისხმოა სამარცხვინო საქმიანობა უტროპოკისა ხაბაროვსკის პარტიული ორგანიზაციიდან,—უტროპოვისა, რომელიც ყოველნაირად ჩირქს სცხებდა პარტიის პატიოსან წევრებს, უქმნიდა რა თავის-თავს „ფხიზელის სახელს“. ჩამოვგლიჯოთ კარიერისტებს ნიღაბი, შევისწავლოთ ნამდვილი სიფხიზლის კონკრეტულ მაგალითებზე — ასეთია თვითეული ორგანიზაციის უპირველესი ამოცანა.

კარიერისტ-კომუნისტებისადმი ლიბერალური დამოკიდებულება გამოიჩინა ორჯონიკიძის ორგანიზაციის ზოგიერთმა ხელმძღვანელმა. იქ კარგად იცნობენ კომუნისტი პეტროვს, 1905 წლიდან პარტიის წევრის საქმეს, მის წინააღმდეგ ცილისმწამებლებმა თითიდან გამოსწოვეს ბრალდებანი ხალხის მტრებთან თანამზრახველობაში. ამხ. პეტროვს ცილს წამებდა გახრწნილი ტიპი, ვიღაც სავინოვი. ახლა ამხ. პეტროვს რეაბილიტაცია უყვეს, მაგრამ ამაზე შორს არ წასულან. საზიზღარი ცილისმწამებლისათვის, რომელიც პატიოსანი ადამიანების წინააღმდეგ ბინძურ განცხადებებს სთითხნიდა, სამხარეო კომიტეტს ხელი არ უხლია.

სარატოვის ორგანიზაციაში პარტიის ბევრი წევრისა და ხელმძღვანელებისათვის კარგად არის ცნობილი ფიზიონომია კარიერისტ-ქალის გარანინასი, რომელმაც პროფესიად გაიხადა ცილისწამება პარტიის წევრთა წინააღმდეგ. საოლქო პარტიულ ორგანოებში დაგროვდა გარანინას დაახლოებით 40 განცხადება. იგი სარგებლობს ხმებითა და ჭორებით. თავის განცხადებებს იგი ასეთი ფრაზებით იწყებს: „მე გადმომცეს“, „მე გავიგონე“, „თუ ეს ფაქტი მართალია, მაშინ“... და სხვ. გარანინა რევოლუციური სიფხიზლის მოდუნებისათვის პარტიის წევრობიდან გადაყვანილ იქნა კანდიდატად და ახლა ყოველნაირად იზღვევს თავს. უცნაურია, რომ პარტიის სარატოვის ოლქკომმა დღემდე არ გაუსინჯა კბილი ამ კარიერისტს, არ ამხილა მისი ანტიპარტიული საქმიანობა.

სალტიკოვ-შჩედრინი სწერდა: „ცილისწამება ფარულად ვრცელდება, ასე, რომ თითქმის შეუძლებელია მოინახოს მისი თავი და ბოლო. მიუხედავად ამისა, ცილისმწამებლის მდგომარეობა საშინელი უნდა იყოს, მას ყოველ წუთს უნდა ეშინოდეს, რომ ამხელენ“. სააშკარაოზე უნდა გამოვიყვანოთ ყველა ცილისმწამებელი, კარიერისტ-კომუნისტები, არ შეიძლება დაუსჯელად დავტოვოთ მათი ბინძური მოქმედება. პარტიულ ხელმძღვანელთა ღირსების საქმეა შექმნან ორგანიზაციებში ნამდვილი ბოლშევიკური სიფხიზლის ატმოსფერო, რათა არავის ჰქონდეს ხალისი ცილი დასწამოს პარტიის პატიოსან წევრებს.

თვითეული ბოლშევიკის მოვალეობაა—ამხილოს პარტიისადმი მტრული ადამიანები, ხალხის მტრები. პარტიის წევრი მუდამ ფხიზლად უნდა იყოს, დროზე იძლეოდეს სიგნალებს მტრის ხრიკების შესახებ, რარიგ ცბიერიც და გაქნილიც არ უნდა იყოს მტერი. პარტიული ორგანიზაციები ვალდებული არიან ღრმად ჩასწვდნენ პარტიის წევრისათვის წაყენებულ ბრალდებათა არსებას.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის დადგენილება ამხელს კარიერისტ-კომუნისტების საზიზღარი მუშაობის ხერხებს, ააშკარავებს მათთვის დამახასიათებელ ნიშნებს. პარტიის წევრთა არც ხელაღებითს სახელგატეხას, არც გამორიცხულთა ხელაღებითს ყოვლისპატიებას პარტია არ დაუშვებს. პარტია მოითხოვს ყველა ორგანიზაციისაგან ინდივიდუალურ მიდგომას გარიცხვის საკითხთა გადაჭრისას, მოითხოვს ყველა მასალის გულმოდგინედ შემოწმებას, უსასტიკეს სიფხიზლეს და მაქსიმუმ სიფრთხილეს, ამხანაგურ ზრუნვას პარტიის წევრის ბედის საკითხის გადაჭრისას. პარტია ვერ მოითმენს და ამხელს, სამარცხვინო ბოძზე გააკრავს კარიერისტებს, ადამიანებს, რომელნიც ცდილობენ დაწინაურდნენ პარტიიდან გარიცხვებით, ცდილობენ თავი დაიზღვიონ პატიოსანი ბოლშევიკების წინააღმდეგ რეპრესიების საშუალებით.

„პრავდის“ მოწინავე, 3/II

ქრონიკა

იმ დიპლომატიური მოლაპარაკების შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა, სსრ კავშირის და თურქეთის მთავრობებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად ა. წ. 31 მარტიდან იხურება სსრ კავშირის საკონსულოები იზმირსა და ყარსში და თურქეთის საკონსულოები ოდესაში, ბაქოში, ერევანსა და ლენინაკანში, და რჩება თვითეული მხარის თითო საკონსულო მეორის ტერიტორიაზე: სახელდობრ — საბჭოთა საკონსულო სტამბოლში და თურქეთის საკონსულო ბათუმში. (საკდესი)

ამხანაგ გრიგოლ ივანეს-ძე პეტროვსკის

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო თქვენი სამოცი წლისთავის დღეს თავის მხურვალე სალამს გიგზავნით თქვენ — ძველ ბოლშევიკს ლენინის გვარდიიდან.

თქვენი ცხოვრების 40 წელზე მეტი თქვენ შესწირეთ მუშათა კლასისა და გლეხობის საქმეს. თქვენმა ბოლშევიკურმა მუშაობამ იატაკქვეშეთსა და სახელმწიფო სათათბიროში, თქვენმა ერთგულებამ ლენინ-სტალინის პარტიისადმი და მუდმივმა კავშირმა და ურთიერთობამ მუშათა და გლეხთა ფართო მასებთან, თქვენი ცხოვრების დიდმა გამოცდილებამ და მრავალი წლის მუშაობამ უკრაინის სს რესპუბლიკის ცაკის თავმჯდომარის პოსტზე — თქვენ მოგიხვეჭეს საბჭოთა კავშირის ხალხთა ფართო მასების ნდობა და პატივისცემა.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო გისურვებენ კიდევ მრავალ წელს შეგენახოთ ჯანმრთელობა და სიმხნე შემდგომი ნაყოფიერი მუშაობისათვის უკრაინელი ხალხისა და მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა საკეთილდღეოდ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი.
სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის მისალმება გ. ი. პეტროვსკისადმი, მისი სამოცი წლისთავთან დაკავშირებით

ძვირფასო გრიგოლ ივანეს-ძევ!

თქვენი 60 წლისთავის დღეს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი მხურვალე სალამს გიძღვნით.

თქვენი ცხოვრების ორმოც წელზე მეტმა ლენინ-სტალინის პარტიის საქმისათვის დაუღალავ ბრძოლაში განვლო. თქვენი, მებრძოლი რევოლუციონერის ცხოვრება, სახელმწიფო მოღვაწის ცხოვრება მუდამ ალსავსე იყო ბოლშევიკის დაუშრეტელი ენერგიით, ბოლშევიკისა, რომელიც მთელ თავის ძალღონეს ხალხის კეთილდღეობას სწირავს.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი გისურვებთ თქვენ მრავალი და მრავალი წლის ნაყოფიერ მუშაობას სოციალისტური სამშობლოს სასარგებლოდ.

სსრკ-ის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი

გ. ი. პეტროვსკის სამოცი წელი შეუსრულდა

(1878 წ. 4 თებერვალი — 1938 წ. 4 თებერვალი)

დღეს სამოცი წელი უსრულდება გრიგოლ ივანეს-ძე პეტროვსკის — ბოლშევიკური პარტიის უხუცეს წევრს, ნაცად და ერთგულ რევოლუციონერს, რომელიც ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებულად იბრძვის კომუნიზმის საქმისათვის.

გ. ი. პეტროვსკი დაიბადა ღარიბ ოჯახში, მისი პაპა იყო ყმა — გლეხი, მამა — ხელოსანი მკერავი. ამხ. პეტროვსკიმ ბავშვობიდან განიცადა მეფის რეჟიმის მთელი სიმძიმე და ჩაგვრა, მატერიალური გაჭირვება, ექსპლოატაცია. გ. ი. პეტროვსკი დაიბადა 1878 წელს ხარკოვში. სამი წლისა იყო, მამა რომ მოუკვდა. ოჯახში დიდმა გაჭირვებამ დაისადგურა. პეტროვსკის დედას, რომელსაც ძლივს გაჰქონდა თავი დღიური მუშაობით, როგორც მრეცხავს, არ შეეძლო მიეცა შვილისათვის განათლება, მხოლოდ ორწელიწადნახევარს სწავლობდა პეტროვსკი სკოლაში და გარიცხულ იქნა სწავლის ფულის შეუტანლობისათვის.

ახალგაზრდა პეტროვსკი სამუშაოდ შევიდა კურსკ-ხარკოვ-სევასტოპოლის რკინიგზის სახელოსნოებში, ხარკოვის მახლობლად, სადაც მუშაობისათვის ერთ აბაზს ღებულობდა დღეში. მაგრამ მალე დაითხოვეს იმის გამო, რომ უჩივლა ოსტატს ქირდვისათვის.

წელიწადნახევარს გ. ი. პეტროვსკი მუშაობდა დღიურად ლატაკური ხელფასისათვის, შემდეგ გადასწყვიტა გადასულიყო ხარკოვიდან ეკატერინოსლავში (დნეპროპეტროვსკი) უფროს ძმასთან, ეკატერინოსლავში ძმის დახმარებით ჯერ მოეწყო შეგირდად ეკატერინეს რკინიგზის ტელეგრაფის სახელოსნოებში, შემდეგ კი ბრიანსკის ქარხანაში (ამჟამად პეტროვსკის სახელობის ქარხანა), სადაც დღეში იღებდა შვიდ შაურს.

1897 წელს ეკატერინოსლავში გადაასახლეს პეტერბურგის რევოლუციონერ მუშათა ჯგუფი. გ. ი. პეტროვსკი უახლოვდება მათ. ისინი ეხმარებიან მას შეიგნოს პროლეტარიატის რევოლუციური ამოცანები. გ. ი. პეტროვსკი ებმება რევოლუციურ მოძრაობაში, შედის რსდმპ რიგებში და იწყებს გახურებულ რევოლუციურ მუშაობას.

1898 წლის ზაფხულზე ბრიანსკის ქარხანაში იფეთქა გაფიცვამ — „ბუნტმა“, რომელშიც გრიგოლ ივანეს-ძე აქტიურ მონაწილეობას იღებს. რამდენიმე ხნის შემდეგ პეტროვსკი მიემგზავრება ნიკოლაევს. იქ სხვა რევოლუციონერებთან ერთად ეწევა დიდ მუშაობას რსდმპ ნიკოლაევის ორგანიზაციის შესაქმნელად. ამხ. პეტროვსკი აწყობს მუშათა წრეებს, ეწევა დიდ რევოლუციურ მუშაობას.

1900 წლის ზაფხულზე გაფიცვებში მონაწილეობისათვის მეფის ხელისუფლება ამხ. პეტროვსკის ნიკოლაევიდან ეკატერინოსლავში ასახლებს. აქ პეტროვსკი უკავშირდება ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას და მთელი არსებით ებმება რევოლუციურ მუშაობაში. შუა ზაფხულში პოლიცია აპატიმრებს ამხ. პეტროვსკის. ამხ. პეტროვსკი ერთ წელიწადს ატარებს საკანში.

საპყრობილედან გამოსვლის შემდეგ, რათა თავიდანვე აიცილოს ახალი დაპატიმრება, გ. ი. პეტროვსკი გადადის დონბასში. ორწელიწადნახევარს იგი მუშაობს მაღაროებში მოისეენკოსთან ერთად (მოროზოვის გაფიცვის ხელმძღვანელთან). 1903 წელს მას კვლავ აპატიმრებენ და ექვსი თვით ათავსებენ საპყრობილეში.

განთავისუფლების შემდეგ ამხ. პეტროვსკიმ დაიწყო მუშაობა ეკატერინოსლავში, სადაც მას მოუსწრო 1905 წლის რევოლუციამ. ამხ. პეტროვსკი რევოლუციური ამბების ცენტრშია. იგი არის საბარიკადო ბრძოლების ერთერთი ხელმძღვანელი ეკატერინოსლავში, საგაფიცვო კომიტეტის წევრი. იგი მონაწილეობას იღებს მუშათა დეპუტატების პირველი საბჭოს შექმნაში, ჯერ მას ირჩევენ საამქროს დეპუტატად, შემდეგ კი ეკატერინოსლავის მუშათა დეპუტატების საბჭოს დეპუტატად.

რევოლუციის ჩახშობის შემდეგ მეფის მთავრობის რეპრესიებმა აიძულა ამხ. პეტროვსკი გადამალულიყო. იგი რამდენიმე ხნით საზღვარგარეთ მიემგზავრება. მალე ბრუნდება რუსეთში და მარიუპოლში სახლდება, სადაც განაგრძობს რევოლუციურ მუშაობას. 1912 წელს გრიგოლ ივანეს-ძეს ირჩევენ IV სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატად ეკატერინოსლავის გუბერნიის მუშათა კურიიდან. 1914 წელს მას სხვა ბოლშევიკ დეპუტატებთან ერთად აპატიმრებენ.

1914 წლის ნოემბერში არალეგალურ თათბირზე, პროვოკატორის დაბეზღებით ბოლშევიკური ფრაქციის ყველა წევრი, მათ რიცხვში გ. ი. პეტროვსკი, დააპატიმრეს და გადაასახლეს. პეტროვსკი გადაასახლეს ტურუხანსკში, სადაც მან ერთი წელიწადს დაჰყო, შემდეგ კი გადასახლებულ იქნა იაკუტსკის ოლქის სრედნე-კოლიმსკში. თებერვლის რევოლუციამ მას მოუსწრო გზაში, როცა იგი გადასახლებული იაკუტსკში მიჰყავდათ.

1917 წლის ნოემბერში გრიგოლ ივანეს-ძე პეტროგრადშია. იგი ინიშნება რუსეთის სფს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად.

1919 წელს საბჭოების სრულიად-უკრაინის ყრილობაზე ამხ. პეტროვსკის ირჩევენ უკრაინის სს რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ. 1922 წელს ამხ. პეტროვსკის ირჩევენ აგრეთვე სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქ. კ. პ. (ბ) IX ყრილობაზე გრიგოლ ივანეს-ძე არჩეულ იქნა ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატად, X ყრილობაზე არჩეულ იქნა ცენტრალური კომიტეტის წევრად.

პარტიის XIV ყრილობის შემდეგ ამხ. პეტროვსკის ირჩევენ საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად. ამხ. პეტროვსკი არის სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატი და სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე.

ასეთია გ. ი. პეტროვსკის, ამხანაგ სტალინის ერთგული თანამებრძოლის რევოლუციური გზა.

ახალი ღონისძიებანი მოდრეიფე ყინულიდან პაპანინის ჯგუფის გადმოსაყვანად

პაპანინელთა მამაცი ოთხეულის ყინულიდან გადმოყვანის შესახებ ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოში ჩვენ შემდეგი გადმოგვცეს:

1 თებერვალს „მურმანეცის“ კაპიტნისათვის მიცემული განკარგულება გამგზავრებულიყო ამხ. პაპანინის ყინულისაკენ მან მიიღო. კაპიტანმა ამხ. ულიანოვმა 2 თებერვალს გვაცნობა:

„ბრძანების შესასრულებლად მივდივართ ყინულსა და ყინულს შუა ჩრდილო პოლუსის სადგურისაკენ. კოორდინატებია: განედის 72 გრადუსი და 41 წუთი, გრძედის 4 გრადუსი და 8 წუთი ვესტი“.

მდგომარეობა ყინულზე გასულ დღეღამის განმავლობაში გაუარესდა. ყინულის ველები განაგრძობს მსხვრევას. ყინულზე გადასვლისას პაპანინელებმა არა მარტო მოახერხეს უზრუნველეყოთ თავი სურსათის სამი თვის მარაგით, არამედ მათ გადაარჩინეს როგორც მეცნიერული მუშაობის შედეგები, ისე სამეცნიერო მოწყობილობა.

2 თებერვალს 16 საათზე გამოგზავნილ დეპეშაში ყინულის მდგომარეობის შესახებ პაპანინი იუწყება:

„სადგურის რაიონში გრძელდება ველების ნატეხთა მტვრევა არაუმეტეს 70 მეტრის მანძილზე. ნაპრალები უდრის 1-5 მეტრს, ყინულისაგან თავისუფალი წყლის მანძილი 50 მეტრს აღწევს. ყინულები იცვლიან ადგილმდებარეობას ერთმანეთის მიმართ, ჰორიზონტამდე ყინული 9 ბალიანია, ხილვადობის ფარგლებში თვითმფრინავის დაშვება შეუძლებელია. ვცხოვრობთ აბრეშუმის კარავში ყინულზე, რომლის ფართობიც უდრის 50×30 მეტრს. ანტენის მეორე ანძას კავშირგაბმულობის დროს ვდგამთ მეორე ყინულზე, ჩვენ თანა გვაქვს სამი თვის მარაგი, აპარატურა, შედეგები. სალამი ყველასაგან.

პაპანინი“.

მთავრობის დავალების თანახმად ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველომ მიიღო შემდეგი ზომები. „მურმანეცის“ კაპიტანს ამხ. ულიანოვს ამხ. შმიდტმა შემდეგი დეპეშა გაუგზავნა:

„მთავრობამ დამავალა, რათა გადმოგცეთ დავალება აუცილებლად მიხვიდეთ პაპანინის ბანაკამდე, გადაარჩინოთ გმირები — გადმოიყვანოთ ისინი ყინულიდან. მთელი ძალღონე მოახმარეთ ამ ისტორიული დავალების შესრულებას, მომახსენეთ ხოლმე წინსვლის შესახებ ყოველ ექვს საათში.

შმიდტი“.

ყინულმჭრელ „ტაიმირს“ მიეცა განკარგულება გავიდეს ზღვაში 3 თებერვალს დილით. ყინულმჭრელი დამატებით დატვირთეს ჰიდროთვითმფრინავ „შ—2“-ით. ოპერაციის ხელმძღვანელად „ტაიმირზე“ დაინიშნა ა. ვ. **ოსტალცევი**, ამხ. შმიდტის მოადგილედ ექსპედიციის დარგში.

მამაცი ოთხეულის გადარჩენის ოპერაციაში ებმება ყინულმჭრელი „ერმაკი“. ამხ. შმიდტი გაემგზავრა ლენინგრადს, საიდანაც „ერმაკით“ გადის ზღვაში.

ამხ. პაპანინს გაეგზავნა შემდეგი დეპეშა:

„ჩრდილო პოლუსი, ამხ. პაპანინს.

თქვენი დეპეშა მოხსენდა მთავრობას. ყველანი აღტაცებული არიან თქვენი სიმამაცით, ბოლშევიკური გამძლეობით ესოდენ მძიმე მომენტში თქვენთვის. ყველანი მხურვალე სალამს გიგზავნიან თქვენ და დარწმუნებული არიან, რომ გმირულ ბრძოლაში სტიქიასთან გამარჯვებული გამოვა თქვენი მამაცი კოლექტივი.

მთავრობამ დაამტკიცა მთელი რიგი ახალი ზომები თქვენთვის სასწრაფო დახმარების აღმოსაჩენად. „ტაიმირი“ გამოვა სამს ოსტალცევთან ერთად. „მურმანეცს“ დავალებული აქვს აუცილებლად მოაღწიოს თქვენამდე. სასწრაფოდ ემზადება „ერმაკი“. მე გამოვდივარ „ერმაკით“. (საკდესი).

შმიდტი“.

დებულება სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს

დადგენილება

1. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისია (სსრკ სახელმწიფო საგეგმო კომისია) წარმოადგენს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს მუდმივ კომისიას.

2. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისია შეიქმნება 11 წევრის შემადგენლობით, რომლებსაც პერსონალურად ამტკიცებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ხელმძღვანელ საგეგმო მუშაკთა, გამოჩენილ სამეცნიერო მუშაკთა და სპეციალისტთა რიცხვიდან

3. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისია:

ა) შეიმუშავებს და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს განსახილველად წარუდგენს სახალხო მეურნეობის პერსპექტიულ, წლიურ და კვარტალურ გეგმებს;

ბ) სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს წარუდგენს დასკვნებს პერსპექტიული, წლიური და კვარტალური გეგმების მიხედვით, რომლებსაც ადგენენ სსრ კავშირის სახალხო კომისარიატები, უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკები;

გ) შეამოწმებს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის დაწესებული გეგმების შესრულებას;

დ) შეიმუშავებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დავალებებით და თავისი ინიციატივით სოციალისტური მეურნეობის ცალკეულ პრობლემებს;

ე) დანიშნავს საექსპერტო კომისიებს ცალკეულ სამეურნეო საკითხებზე;

ვ) შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარუდგენს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს სოციალისტური დაგეგმვის მეთოდოლოგიის საკითხებს;

ზ) ხელმძღვანელობას გაუწევს სსრ კავშირში სოციალისტური აღრიცხვის საქმეს.

4. სახელმწიფო საგეგმო კომისიის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ის, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის გეგმაში უზრუნველჰყოს სწორი თანაფარდობა სხვადასხვა დარგის განვითარებაში და საჭირო ღონისძიებანი იმ მხრივ, რათა არ იქნას დაშვებული დისპროპორცია სახალხო მეურნეობაში.

სახელმწიფო საგეგმო კომისიას ეკისრება ამოცანა — შეათანხმოს სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის გეგმაში სოციალისტური წარმოების, მომპოვებელი და დამმუშავებელი მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და ინდუსტრიის, ტრანსპორტისა და სახალხო მეურნეობის მომიჯნავე დარგების მუშაობა, შეათანხმოს წარმოების ზრდა და მოხმარების ზრდა, წარმოების დაფინანსება და მისი მატერიალური უზრუნველყოფა, განახორციელოს საწარმოთა სწორი რაიონობრივი განაწილება, ამასთან მხედველობაში მიიღოს, რომ საჭიროა შორეული და შემხვედრი ტვირთზიდვის ლიკვიდაცია, საწარმოთა დაახლოება ნედლეულის წყაროებთან და მათი პროდუქციის მოხმარების რაიონებთან.

5. სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულებაში გარღვევათა თავიდან აცილების მიზნით სახელმწიფო საგეგმო კომისია:

ა) ამოწმებს სახალხო კომისარიატების, უწყებებისა და საწარმოების მიერ სახელმწიფო სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულებას;

ბ) სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს განსახილველად წარუდგენს საკითხებს და წინადადებებს, რომლებიც გამომდინარეობენ სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულების შემოწმებიდან.

6. ზემოაღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად სახელმწიფო საგეგმო კომისიას ჰყავს:

ა) თავისი ცენტრალური აპარატი განყოფილებების, სექტორებისა და ჯგუფების შემადგენლობით;

ბ) რესპუბლიკებსა, მხარეებსა და ოლქებში — სახელმწიფო საგეგმო კომისიის რწმუნებულები სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულების შესამოწმებლად.

რწმუნებულები უშუალოდ ემორჩილებიან სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას და მუშაობენ რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო საგეგმო კომისიებისაგან დამოუკიდებლად.

7. სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან იმყოფება სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალური სამმართველო, იგი მუშაობს განსაკუთრებული დებულებით, რომელსაც ამტკიცებს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო.

8. დაწესდეს სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცენტრალური აპარატის შემდეგი სტრუქტურა:

ნაკრები სახალხო-სამეურნეო გეგმის განყოფილება სახალხო მეურნეობის ბალანსის ჯგუფით,
კაპიტალური მშენებლობის განყოფილება საშენ მასალათა ბალანსის ჯგუფით,
საფინანსო (ბიუჯეტისა და კრედიტის) განყოფილება,
საწარმოთა განაწილებისა და რაიონული დაგეგმვის განყოფილება,
ბუნებრივი რესურსების სექტორი,
სათბობის სექტორი სასათბობო ბალანსის ჯგუფით,
ელექტროფიკაციის სექტორი ენერგეტიკის ბალანსის ჯგუფით,
მეტალურგიის სექტორი ლითონის ბალანსის ჯგუფით,
ქიმიური მრეწველობის სექტორი,
მანქანათმშენებლობის სექტორი მოწყობილობის ბალანსის ჯგუფით,
ავტო და ავიატრანსპორტისა და საგზაო მეურნეობის სექტორი,
სატყეო მრეწველობის სექტორი,
კვების მრეწველობის სექტორი,
მსუბუქი მრეწველობის სექტორი,
რკინიგზის ტრანსპორტის სექტორი,
წყალთა ტრანსპორტის სექტორი,
სოფლის მეურნეობის სექტორი,
საქონელბრუნვის სექტორი,
ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის სექტორი,
საშენ მასალათა მრეწველობის სექტორი,
საბინაო-კომუნალური მეურნეობის სექტორი,
საგარეო ვაჭრობის სექტორი,
კულტურისა და კადრების სექტორი,
ჯანმრთელობის დაცვის სექტორი,
კავშირგაბმულობის სექტორი.

სახელმწიფო საგეგმო კომისიის სექტორები განაგებენ სახალხო მეურნეობის მოცემული დარგის დაგეგმვის ყველა საკითხს და გეგმის შესრულების შემოწმებას მისი ყველა მაჩვენებლის — რიცხვობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით.

სახელმწიფო საგეგმო კომისიის შემადგენლობაში, ამას გარდა, იმყოფებიან:

საგეგმო კადრების სექტორი,
გამოგონებათა შემდგომი რეგისტრაციის ბიურო,
საქმეთა მმართველობა,
ჟურნალი „პლანოვოე ხოზიაისტვო“ და გამომცემლობა,
სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის სამდივნო.

9. სახელმწიფო საგეგმო კომისიის რწმუნებულებს რესპუბლიკებსა, მხარეებსა და ოლქებში დანიშნავს და გაიწვევს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის წარდგენით და ისინი მუშაობენ თავმჯდომარის დავალებებით.

სახელმწიფო საგეგმო კომისიის რწმუნებულები იმყოფებიან საკავშირო ბიუჯეტზე სახელმწიფო საგეგმო კომისიის ხარჯთაღრიცხვით.

10. სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო საგეგმო კომისიას უფლება ენიჭება მოითხოვოს სახალხო კომისარიატებისა და უწყებებისაგან (ხოლო სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო რწმუნებულებს —სათანადო საწარმოებისა და სამეურნეო ორგანოებისაგან) საჭირო მასალები და განმარტებანი, რომლებიც დაკავშირებულია სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულების შემოწმებასთან.

11. მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სახკომსაბჭოებთან, სამხარეო და საოლქო აღმასკომებთან არსებული საგეგმო კომისიები დაგეგმვის მეთოდოლოგიის საკითხებში, აგრეთვე სამეურნეო გეგმების შესრულების შემოწმების საკითხებში ხელმძღვანელობენ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მითითებებით.

12. სახელმწიფო საგეგმო კომისიის წევრებს არ შეუძლიანთ სახელმწიფო საგეგმო კომისიაში მუშაობა შეათავსონ სხვა სამუშაოსთან საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში.

13. სახელმწიფო საგეგმო კომისია მართავს თავის სხდომებს სოციალისტური მეურნეობის იმ უმნიშვნელოვანესი საკითხების განსახილველად, რომლებიც დაკავშირებულია პერსპექტიული, წლიური და კვარტალური სახალხო-სამეურნეო გეგმების შედგენასთან და მათი შესრულების მიმდინარეობის შემოწმებასთან.

14. სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებობს საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან სახელმწიფო საგეგმო კომისიის წევრები, სახელმწიფო საგეგმო კომისიის რწმუნებულები და სხვა საგეგმო მუშაკები — სულ 90 კაცამდე.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე — ვ. მოლოტოვი.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი — მ. პეტრუნიჩევი.

მოსკოვი, კრემლი.
1938 წლის 2 თებერვალი.

პარტიულ თემაზე

პარტიის რიგების ზრდა

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი 1936 წ. 29 სექტემბრის წერილში პარტიაში მიღების განახლების შესახებ—გვასწავლის, რომ პარტიის რიგებში უნდა მივიღოთ მუშათა კლასის საქმისათვის თავდადებულნი—საუკეთესო ადამიანები მუშებიდან, კოლმეურნეებიდან და მშრომელი ინტელიგენციიდან.

ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაციის ხელმძღვანელმა აქედან შესაფერი დასკვნა ვერ გააკეთა და იგი პარტიაში მიღების საქმეს ხელოვნურად აბრკოლებს. მაგალითად, ფოთის ნავსადგურის პირველადს პარტორგანიზაციაში პარტიის რიგებში შემსვლელთ ლენინიზმის კარგად ცოდნას სთხოვენ. აქ უგზოუკვლოდ დაიკარგა 5 ამხანაგის განცხადებები პარტიაში მიღების შესახებ. პარტიაში მიღების განახლებიდან 1938 წ. 1 იანვრამდე პარტკანდიდატად მიღებულია ერთი კომკავშირელი, კანდიდატობიდან წევრად გადაყვანილია ერთი კაცი, თანამგრძნობთა ჯგუფსაც მხოლოდ ერთი კაცი შეემატა. ეს მაშინ, როცა ამ ორგანიზაციას დიდი რეზერვი გააჩნია. აქ პარტიის წევრობის 43 კანდიდატი ირიცხება, თანამგრძნობთა ჯგუფში 42 კაცია, კომკავშირის ორგანიზაცია 182 კაცს აერთიანებს. წარმოებაში 2000 მეტი მუშა-მოსამსახურეა, მათ შორის 360 სტახანოველი.

ასეთივე მდგომარეობაა აბაშის რაიონის ზოგიერთ პირველად პარტორგანიზაციაში. მაგ., მარნის სახერხი ქარხნის პარტორგანიზაციის მიერ (აბაშის რაიონი) პარტკანდიდატად მიღებულია 1 კაცი, კანდიდატობიდან წევრად გადაყვანილია 1. ამ ორგანიზაციის გარშემოც ბლომადაა რეზერვი. წარმოებაში ორასზე მეტი მუშა-მოსამსახურეა. სტახანოველთა რიცხვი ორმოცს აღემატება, ხოლო კომკავშირის ორგანიზაცია 50 კომკავშირელს ითვლის.

აბაშის რაიკომის მიერ მიმდინარე წლის 1-ლ იანვრამდე პარტიის რიგებში მიღებულია 20 კაცი. 27 პირველადს პარტორგანიზაციას პარტიაში მიღება სრულიად არ უწარმოებია.

ამავე ხნის განმავლობაში გეგეჭკორის რაიკომს პარტიის რიგებში მიუღია 50 კაცი, მათ შორის კომკავშირიდან 32, თანამგრძნობთაგან 1. პარტიაში მიღება 20 პირველადს პარტორგანიზაციას სრულებით არ მოუხდენია.

ამ არანორმალური მდგომარეობის მიზეზია ის, რომ პარტორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ კომკავშირს, პარტკანდიდატებს, თანამგრძნობებს, უპარტიო აქტივს.

ხობის რაიკომს პარტიაში მიღების განახლებიდან პარტიაში მიღებული ჰყავს სულ 24 კაცი, წულუკიძისას—28, პარტიაში მიღებულთა ეს ციფრები მეტად მცირეა.

სოფ. ფოცხოს (ცხაკაიას რაიონი) ბერიას სახელობის კოლმეურნეობასთან არსებულ პარტორგანიზაციაში გასული წლის 27 სექტემბრის შემდეგ პარტიული კრება არ ჩატარებულა და, მაშასადამე, არც პარტიაში მიღება უწარმოებიათ.

სოფ. ნაფიჩხოვის (ჩხოროწყუს რაიონი) ამხ. კიროვის სახელობის კოლმეურნეობასთან არსებული პარტორგანიზაციის პარტორგმა ამხ. დ. ლაგვილავამ განაცხადა: „პარტიაში მიღება არ გვიწარმოებია, რადგან გვეშინოდა პოლიტიკურად საეჭვო ხალხი არ მიგვეღო“. აი, პარტიაში მიღებისადმი არაჯანსაღი დამოკიდებულების ნიმუში.

სოფ. პირველი ხორგის (ხობის რაიონი) საკოლმეურნეო პარტორგანიზაციაში (პარტორგი ბ. დოლბაია) ა. წ. 1-ლ იანვრისათვის დაგროვილი იყო 14 განცხადება პარტიაში მიღების შესახებ (ნაწილი განცხადებებისა შემოსულია 1937 წ. იანვარ-თებერვალ-მარტში). სოფ. ნაფიჩხოვის (ჩხოროწყუს რაიონი) საკოლმეურნეო პარტორგანიზაციაში ამხ. გრიგოლ სამსონის-ძე ბერიას მიერ 1937 წ. მარტში შეტანილი განცხადება პარტიაში მიღების შესახებ დღემდე არ განუხილავთ.

ზოგიერთი პირველადი პარტორგანიზაცია სათანადო ყურადღებით არ ეპყრობა კომკავშირელთა მიზიდვას პარტიის რიგებში, გვერდს უვლის საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას პარტიაში კომკავშირელთა მიზიდვის შესახებ.

ხელმძღვანელ პარტორგანოების მუშაკთა თათბირზე ამხანაგი კაგანოვიჩი აღნიშნავდა, რომ „ინსტრუქტორი დიდი ყურადღებით და პასუხისმგებლობით უნდა ეპყრობოდეს პარტორგანიზაციის ზრდის საკითხებს“. რაიკომის ინსტრუქტორმა კარგად უნდა შეისწავლოს თავისი ზონის ორგანიზაციებში შემავალი პარტიული და უპარტიო აქტივი. რაიკომის ინსტრუქტორები ამას მიაღწევენ მაშინ, თუ თავიანთ ზონებში თვითონვე შეამოწმებენ პარტიაში მიღების ყველა დოკუმენტებს მანამდე, ვიდრე მათ რაიკომი გაარჩევდეს. მაშინ თავიდან იქნება აცილებული წესდების დარღვევის ისეთი შემთხვევები, როგორსაც სოფ. ნოსირის (ცხაკაიას რაიონი) ტერიტორიულ პარტორგანიზაციაში ჰქონდა ადგილი. აქ პარტიაში მიღებისას ყველა რეკომენდატორის დასწრება როდი მიაჩნდათ სავალდებულოდ.

ზოგჯერ რაიკომის აპარატიც საჭირო ყურადღებით არ ამოწმებს ყველა მასალას პარტიაში მისაღების შესახებ, რის შედეგადაც ცენტრალურ კომიტეტს ხშირად უხდება მთელი საქმეების დაბრუნება რაიკომებში წესიერად გაფორმებისათვის.

თვითეული პარტიული ორგანიზაციის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ბოლშევიკური სიფხიზლის ყოველმხრივი გაძლიერებით, ადამიანთა გულდასმითი და მკაცრი ინდივიდუალური შერჩევით უზრუნველყოს პარტიის რიგების ბოლშევიკური ზრდა.

შ. იოსავა

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის ხელმძღვანელი პარტორგ. განყ. ინსტრუქტორი.

უფრო გავაძლიეროთ პარტიის რიგების ზრდა

უკანასკნელ ხანებში თბილისის თამბაქოს ფაბრიკის პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტკომის მდივანი ამხ. სალარაძე) დიდად გააუმჯობესა პარტიაში ახალი წევრების მიღებისა და პარტიული რიგების ზრდის საქმე.

ფაბრიკის მოწინავე ადამიანები: სტახანოველები, კომკავშირელები, თანამგრძნობები და უპარტიო აქტივისტები ისწრაფვიან გახდნენ მშობლიური ბოლშევიკური პარტიის ღირსეული წევრები.

1937 წელს საკ. კ. პ. (ბ) რიგებში ფაბრიკის პირველადი პარტორგანიზაციის მიერ პარტიის წევრობის კანდიდატებად მიღებულია 38 კაცი. კანდიდატებიდან პარტიის წევრებად გადაყვანილია 7 კაცი.

მიღებულთა შორის არიან ქარხნის მოწინავე სტახანოველი მუშები; მაგ. სტახანოველი ხარატი ბ. რაჩინსკი, რომელიც საწარმოო დავალებებს სისტემატურად ასრულებს 200 პროცენტით, ამავე დროს იგი არის კომკავშირის ჯგუფორგი და ქარხნის მოწინავე აგიტატორი. ასეთები არიან აგრეთვე სტახანოველი ხარატი სათენიკ აბრამიანი, სტახანოველი ჩამწყობი ანა ნიშანიანი, ემა შაფსონი და სხვ., რომლებიც საწარმოო გეგმებს სისტემატურად 150-160 პროც. ასრულებენ.

ფაბრიკის პარტიული ორგანიზაცია დიდი მზრუნველობით ეხმარება პარტიაში ახალ მიღებულებს. გაბედულად აწინაურებს მათ. მაგ. სტახანოველი მექანიკოსი ამხ. ალახვერდოვი დაწინაურებულ იქნა მექანიკური საამქროს უფროს მექანიკოსად, სტახანოველი ხარატი სიმონ დოქსინი დაწინაურდა მექანიკური საამქროს უფროსად, სტახანოველი ნიკ. ქორიძე დაწინაურებულია მომუშავედ სოც. დაზღვევის დარგში და სხვ. (საქდესი).

სწავლობენ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებებს

საგარეჯოს რაიონში პარტიული ორგანიზაციები აღფრთოვანებით შეუდგნენ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესწავლას. პარტრაიკომის მიერ გამოყოფილი აგიტატორები ყოველდღიურად ატარებენ საუბრებს პლენუმის გადაწყვეტილებათა ისტორიული მნიშვნელობის შესახებ.

მუღალოს ბაგიროვის სახ. კოლმეურნეობის პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში (პარტორგი ღამბარ ფაშა-ოღლი) უდიდესი აქტივობით დაამუშავეს პლენუმის დადგენილებანი. სიტყვით გამოსულმა პარტიის წევრებმა რაშიდ ნოვრუზოვმა, ხ. მამედოვმა და გულაბ ნოვრუზოვმა აღნიშნეს, რომ პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ ხელაღებით და შეუსწავლელად გარიცხა პარტიის რიგებიდან პარტკანდიდატი ამხ. უსუპოვი.

ც. კ-ის პლენუმის გადაწყვეტილებათა დამუშავების პროცესში რაიონის მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციები ამჟღავნებენ პარტიიდან კომუნისტების გარიცხვისას დაშვებული შეცდომების ფაქტებს და საკ. კ. პ. (ბ)-დან გარიცხულთა აპელაციებისადმი ფორმალურ - ბიუროკრატიული დამოკიდებულების მრავალ მაგალითს.

მ. ბახუაძე

პარტკონფერენციები წითელ არმიაში

1-დან 5 თებერვლამდე ყველა სამხედრო ოლქში ტარდება დივიზიათა პარტიული კონფერენციები.

ამ კონფერენციებს წინ უძღვის პირველადი პარტიული ორგანიზაციების პარტიული კრებები წითელი არმიის ნაწილებში. კრებები ტარდება უდიდესი პოლიტიკური აღტყინებით, რაც მოწმობს არმიის პარტიულ ორგანიზაციათა იდეურ ზრდას.

იხილავენ რა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს, წითელი არმიის ბოლშევიკები მთელის პირდაპირობით და პრინციპულობით ამჟღავნებენ მუშაობის ნაკლოვანებებს და სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა უსწრაფესი რეალიზაციისათვის. მკაცრად აკრიტიკებენ დივიზიათა პარტიული კომისიების პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის ნაკლოვანებებს, აგრეთვე პოლიტგანყოფილებათა ხელმძღვანელობის ნაკლოვანებებს.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე ირჩევენ დივიზიათა პარტიულ კონფერენციებზე გასაგზავნ დელეგატებს.

დივიზიათა პარტიული კონფერენციები განიხილავენ მოხსენებას „პარტიიდან კომუნისტების გარიცხვისას პარტორგანიზაციების შეცდომებზე, საკ. კ. პ. (ბ)-დან გარიცხულთა აპელაციებისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებასა და ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებებზე“, საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის მიერ მიღებული დადგენილების შესახებ მოისმენენ დივიზიათა პარტიული კომისიების მდივნების ანგარიშებს და ფარული კენჭისყრით აირჩევენ დივიზიათა პარტიულ კომისიებს.

(საქდესი).

თესვისათვის დროზე და კარგად მომზადება უხვი მოსავლის საწინდარია

მაღლა ავწიოთ სოციალისტური შეჯიბრების დროშა

(„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან).

ამ დღეებში ცაგერში შესდგა კოლმეურნეობების გამგეობათა და სარევიზიო კომისიათა თავმჯდომარეების სარაიონო თათბირი. თათბირს აგრეთვე ესწრებოდნენ კოლმეურნეობათა მოანგარიშეები და რაიმიწგანის აგროპერსონალი.

თათბირმა განიხილა წლიური ანგარიშების შედგენისა და საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საკითხები.

საგაზაფხულო თესვისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ თათბირმა მოისმინა სოფ. ზემო ცაგერის, ქვემო ორბელის, ლასურიაშის, ლასხანის, მახამისა და ზოგიშის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მოხსენებანი.

თათბირის ამოცანა იყო გადაეშალა ნათელი სურათი საგაზაფხულო თესვისათვის მზადების მიმდინარეობისა რაიონში, დაესახა და გაეტარებინა საჭირო პრაქტიკული ღონისძიებანი, მაგრამ ასე არ მოხდა. რაიმიწგანმა აღნიშნული თათბირი მოუმზადებლად მოიწვია, წინასწარ არ შეამოწმა თესვისათვის მზადების მდგომარეობა კოლმეურნეობებში. ამ საკითხის გარშემო თათბირზე გამოსულნი მხოლოდ ინვენტარიზაციის აქტებიდან ამოწერილი ციფრებით დაკმაყოფილდნენ.

კამათში გამოსულმა სოფ. აჭარის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ფრუიძემ საგაზაფხულო თესვისათვის საუკეთესოდ მომზადების მიზნით სოცშეჯიბრებაში გამოიწვია სოფ. ზოგიშის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. არსენ ხვადაგიანი, მაგრამ მის ინიციატივას არავინ გამოეხმაურა. რაიმიწგანის გამგე ამხ. ა. გუგავა, რომელიც თათბირს ხელმძღვანელობდა, არა თუ შეეცადა შალვა ფრუიძის ამ ინიციატივის საფუძველზე თათბირის მონაწილეთა შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლას, არამედ თავის გრძელ სიტყვაში მას ამ საკითხზე კრინტიც არ დაუძრავს.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციები ჯერ-ჯერობით სათავეში ვერ უდგანან სოციალისტური შეჯიბრების გაშლას საგაზაფხულო თესვის ბოლშევიკურად მომზადებისათვის.

ვ. ყურაშვილი.

კოლმეურნე ამხ. როსტიაშვილი (ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა) საგარეჯოს რაიმიწგანთან მოწყობალ თესლის საკონტროლო ლაბორატორიას შესამოწმებლად აბარებს თესლის ნიმუშებს.

ფოტო სტეფანოვისა („სოიუზფოტოს“ საქ. განყ.)

ქობულეთის რაიონში კვლავ ჩამორჩენაა

ბათუმი, 31 იანვარი (საქდესი). ქობულეთის რაიონში გამოყოფილი სათესლე სიმინდიდან 744 ცენტნერი უხარისხოა. რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში, როგორიცაა სოფელ ზენითის, წყავროკის, ქაქუთის, ხალას, ჭახათის და ლეღვას კოლმეურნეობები, ჯერაც არ დაუწყიათ გამოყოფილი სათესლე სიმინდის შემოწმება და გადარჩევა.

მიწგანის ხელმძღვანელებს დღემდე არავითარი ცნობები არა აქვთ იმის შესახებ, თუ ლობიოს და კარტოფილის რა რაოდენობის თესლია საჭირო რაიონისათვის. ალამბრისა და რაიონის მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებს არ გააჩნიათ სოიას თესლი. საგაზაფხულო თესვის გეგმები ჯერ კიდევ არ არის დაყვანილი კოლმეურნეობებამდე.

რაიონში არ ზრუნავენ მანქანა-იარაღების დროულად შეკეთებაზე. მანქანა-იარაღების შეკეთებას დღემდე არ შესდგომიან კვირიკეს, ზერაბოსელისა და ჭახათის სოფლსაბჭოები. შემკეთებელი ბრიგადები, რომლებიც ბათუმიდან არიან რაიონში მიმაგრებული, საჭირო მასალებისა და შესაკეთებელი ინვენტარის მოუწოდებლობის გამო ვერ მუშაობენ სრული დატვირთვით. სოფლსაბჭოების თავმჯდომარეები აშკარა თვითდინებაზე არიან დაყრდნობილი, იმის მოლოდინში არიან, რომ „ბრიგადა მოვა და ის შეაკეთებს მანქანა-იარაღებსო“, და არ იყენებენ ადგილობრივ არსებულ სამჭედლოებს (სოფ. ლეღვა და სხვ.)

ბევრგან კვლავ მოუგვარებელია ცოცხალი გამწევი ძალის მოვლა-პატრონობა, მუშა-საქონელი ჯერ კიდევ არ არის გადაყვანილი გაძლიერებულ ბაგურ კვებაზე (ანდრეევის, კაგანოვიჩისა და ეჟოვის სახელობის კოლმეურნეობებში).

უდარდელობა მუშა-საქონლის მოვლა-პატრონობაში

(„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტისაგან).

ლანჩხუთის რაიონში მიწგანის აღრიცხვით არის 3.391 სული ხარკამეჩი და 165 ცხენი. აქედან 154 სული მუშა-საქონელი დასუსტებულია და საჭიროებს განსაკუთრებულ მოვლას. მუშა-საქონლის მოვლა-პატრონობას რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან. 1937 წელს რაიონში მოუვლელობით მოკვდა 170 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი. სოფელ ქვედა აკეთის კოლმეურნეობაში დაუდევრად მოპყრობის გამო მოკვდა 17 სული, ჯურუყვეთის კოლმეურნეობაში—11 სული, ხოლო აცანის კოლმეურნეობაში — 10 სული მუშა-საქონელი.

სოფელ ხაჯალიას კოლმეურნეობას ჰყავს 83 სული მუშა-საქონელი. მომვლელებმა განაცხადეს, რომ მუშა-საქონლიდან სუსტი 10 სული გვყავს და ისინი უკვე გადავიყვანეთ გაძლიერებულ კვებაზეო. მაგრამ აღმოჩნდა, რომ ამ კოლმეურნეობაში დასუსტებულია 40 სული მუშა-საქონელი და მათგან არცერთი არა ჰყავთ გადაყვანილი გაძლიერებულ კვებაზე. ბოსლის ეზო დაჭაობებულია. ბოსლისთვის არ გაუკეთებიათ დეზინფექცია.

სოფელ ნიგვზიანის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის № 1 ბოსელი მოუწყობელია. შენობაში წვიმა ჩადის. ფანჯრების მინები ყველა ჩამტვრეულია. ასეთ ბოსლებში მოთავსებულია 14 სული სუსტი მუშა-საქონელი, რომელიც გადაყვანილი არ არის გაძლიერებულ კვებაზე. ჯერ არც ბოსლის დეზინფექცია მოუხდენიათ. ნიგვზიანის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს აფხაზავას დროზე არ მიუღია სათანადო ზომები ბოსელში შექმნილი მდგომარეობის გამოსწორებისათვის.

ნინოშვილის სახელობის კოლმეურნეობას ჰყავს 70 სული მუშა-საქონელი, აქედან 31 სული ძლიერ დასუსტებულია, მაგრამ ისინი 26 იანვრისათვის გადაყვანილი არ იყვნენ გაძლიერებულ კვებაზე. ბოსელს არ აქვს ფანჯრები. იატაკის მაგივრად დაყრილია კოჟრიანი ხეები, რომელზედაც მუშა-საქონლის ნორმალურად დასვენება შეუძლებელია.

არც სოფელ ჯურუყვეთის კოლმეურნეობაშია კარგად დაყენებული მუშა-საქონლის მოვლა-პატრონობის საქმე. აქ ჰყავთ 31 სული ხარი, რომლებიც ძლიერ დასუსტებული არიან, დღემდე არ გადაუყვანიათ გაძლიერებულ კვებაზე. ამ კოლმეურნეობაში უდიერად მოპყრობის გამო დაიღუპა 4 სული მუშა-საქონელი. უნდა აღინიშნოს, რომ რაიონის ვეტპერსონალი და კერძოდ რაივეტექიმი კალანდაძე კონკრეტულ დახმარებას ვერ უწევენ ადგილებს. ვეტპუნქტები მომარაგებული არ არის წამლებით და საჭირო საექიმო ხელსაწყოებით. მიწსახკომის ვეტერინარულ სამმართველოს და მეცხოველეობის სექტორს ლანჩხუთის რაიონში ჯერ არ გამოუგზავნიათ მუშა-საქონლის სამკურნალო წამლები.

რაიონის არც სხვა კოლმეურნეობებშია წესიერად დაყენებული მუშა-საქონლის მოვლა-პატრონობის საქმე. სოფელ ზემო და ქვემო ჩიბათის კოლმეურნეობის ბოსლებში მუშა-საქონელი დაბმულია ისე, რომ ვერ დაწვება. სოფელ ჭალის კოლმეურნეობაში სუსტი და ძლიერი მუშა-საქონელი დაბმულია ერთად და არავითარი ყურადღება არ ექცევა სუსტი მუშა-საქონლის მოვლას.

ზემოთჩამოთვლილი ფაქტები მოწმობენ, რომ მუშა-საქონლის მოვლის საქმეში ლანჩხუთის რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელები დაყრდნობილი არიან თვითდინებაზე. ნუ თუ ეს ფაქტები არ არის ცნობილი რაიაღმასკომისა და რაიმიწგანისათვის?

ი. მოისწრაფეშვილი.

გუთნებისა და სათესების შეკეთება

მიწსახკომის ცნობების მიხედვით, ტრაქტორების მისაბმელი ინვენტარის შეკეთება მტს-ებში ისევ ჩამორჩენილია. 1 თებერვლისათვის 1570 გუთნიდან შეკეთებული იყო მხოლოდ 853 გუთანი, ხოლო 600 სათესიდან — 285, ე. ი. თებერვლის პირველისათვის გუთნების შეკეთების გეგმა შესრულებული იყო 54,3 პროცენტით, სათესი მანქანებისა — 47,5-ით.

დამახასიათებელია, რომ ოსიაურის, სტალინირის, ბაშკიჩეთის, წალკის, თიანეთის, გალის, ლანჩხუთის, სოხუმის და ზოგიერთი სხვა მტს-ები აგვიანებენ რემონტის მიმდინარეობაზე ცნობების წარმოდგენას.

ეს სამუშაო მეტად ჩამორჩენილია აგრეთვე ახალქალაქის, კასპის, წეროვნის, თბილისის, ლუქსემბურგის, ყარაიას, გურჯაანის, წნორის, ლაგოდეხისა და სხვ. მტს-ებში. აქ გეგმის შესრულება 17 — 40 პროცენტს არ აღემატება.

კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა სათესი მანქანების შეკეთებაში. ეს სამუშაო არ დაუწყიათ: ბოგდანოვკის, კასპის, ბორჩალოს, ლაგოდეხის, ვანის, ზესტაფონის, ზუგდიდისა და ზოგიერთ სხვა მტს-ებში, ხოლო გურჯაანის, გორისა და ასურეთის მტს-ებში გეგმა შესრულებულია 7,7 — 37,5 პროცენტით.

მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 20 წლისთავისათვის მომზადების შესახებ

საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის, თავდაცვა-ავიაქიმის სსრ კავშირისა და რსფსრ-ის ცენტრალური საბჭოს დადგენილება

წითელი არმიისა და წითელი ფლოტის 20 წლისთავი მთელი საბჭოთა ხალხის, ყველა საბჭოთა პატრიოტის დღესასწაულია. საკ. ალკკ-მა და თავდაცვა-ავიაქიმმა, რომელნიც წარმოადგენენ წითელი არმიის მძლავრ რეზერვს, მუშურ-გლეხური წითელი არმიის 20 წლისთავთან დაკავშირებით სერიოზული პოლიტიკური მუშაობა უნდა ჩაატარონ მშრომელთა მასებში, განსაკუთრებით მშრომელ ახალგაზრდობაში, აღნიშნონ სახელოვანი წლისთავი კონკრეტული წარმატებებით თავიანთ თავდაცვით მუშაობაში, კომკავშირელთა და თავდაცვა-ავიაქიმის წევრთა სამხედრო სწავლებაში.

საკ. ალკკ-ის ცენტრალური კომიტეტი და თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭო წინადადებას იძლევიან:

1. ჩატარდეს თებერვლის პირველ ნახევარში საკ. ალკკ-ის და თავდაცვა-ავიაქიმის პირველადი ორგანიზაციების გაერთიანებული კრებები საკითხზე „მუშურ-გლეხური წითელი არმიის 20 წლისთავი და კომკავშირისა და თავდაცვა-ავიაქიმის თავდაცვითი მუშაობა“, სადაც მოხსენება გააკეთონ საკ. ალკკ-ის კომიტეტის მდივანმა და თავდაცვა-ავიაქიმის საბჭოს თავმჯდომარემ.

ჩატარდეს კომკავშირისა და თავდაცვა-ავიაქიმის ქალაქის, რაიონის აქტივის გაერთიანებული კრებები ამ საკითხზე, სადაც მოხსენება გააკეთონ საკ. ალკკ ქალაქკომის (რაიკომის) და თავდაცვა-ავიაქიმის ქალაქის (რაიონის) საბჭოს თავმჯდომარემ.

2. მოეწყოს მოხსენებების, ლექციების და საუბრების ჩატარება მშრომელთა კრებებზე, ახალგაზრდობის, ფიზკულტურელთა კრებებზე, კლუბებში, წითელ კუთხეებში, ქოხ-სამკითხველოებში, აეროკლუბებში და თავდაცვა-ავიაქიმის სხვა სასწავლო ორგანიზაციებში — წითელი არმიისა და სამოქალაქო ომის ისტორიის ცალკეული ეტაპების შესახებ.

რეკომენდებულ იქნას მოხსენებათა შემდეგი სანიმუშო თემები:

ამხანაგი სტალინი — წითელი არმიის სამი თავისებურობის შესახებ;

საკ. კ. პ. (ბ) — წითელი არმიის ორგანიზატორი და ბელადი;

წითელი არმიის მშენებლობის ძირითადი ეტაპები;

გერმანელი ინტერვენტების განადგურება უკრაინაში;

„ანტანტის“ პირველი ლაშქრობის განადგურება;

„ანტანტის“ მეორე ლაშქრობის განადგურება;

„ანტანტის“ მესამე ლაშქრობის განადგურება;

შორეულ - აღმოსავლეთის მხარის განთავისუფლება იაპონელ იმპერიალისტ დამპყრობთაგან.

ნაჩვენები იქნას ამ მოხსენებებსა და ლექციებში კომუნისტური პარტიის და მისი ბელადების ლენინისა და სტალინის როლი წითელი არმიის შექმნაში და თეთრგვარდიელებსა და ინტერვენტებზე მის გამარჯვებათა ორგანიზაციაში, მოთხრობილ იქნას ამხანაგ სტალინზე, როგორც გადამწყვეტ საბრძოლო ოპერაციათა უშუალო ხელმძღვანელზე და წითელი არმიის უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული გეგმების შემოქმედზე სამოქალაქო ომში.

მოხსენებებისა და ლექციების ჩატარებაში ჩაბმულ იქნან მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურნი და პოლიტმუშაკნი, სამოქალაქო ომის მონაწილენი, საუკეთესო კომკავშირელი პროპაგანდისტები.

3. მოეწყოს საღამოები, სადაც ერთმანეთს შეხვდებიან კომკავშირელები, თავდაცვა-ავიაქიმელები, წითელარმიელი ახალგაზრდები, წითელი არმიის მეთაურები და პოლიტმუშაკები, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ფლოტის სიშეფო ნაწილები, საბჭოთა კავშირის გმირები, წითელი არმიის ორდენოსნები, მეომარი მეთაურები, სამოქალაქო ომის ვეტერანები.

ამ საღამოებზე უამბონ ახალგაზრდობას წითელი არმიის ისტორიული გზის შესახებ, მისი ბრძოლის ეპიზოდების შესახებ, მის მეომართა და მეთაურთა გმირობის შესახებ, სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირების შესახებ, წითელი არმიის მარშლებისა და რკინის სარდალ ამხანაგ ვოროშილოვის შესახებ.

მოეწყოს სამხედრო ლაშქრობანი, ექსკურსიები, მეთხილამურეთა გამოსვლები სამოქალაქო ომის მარშრუტებით და ამ ომის ძეგლებისაკენ.

4. მოეწყოს კომკავშირელთა, თავდაცვა-ავიაქიმელთა და ახალგაზრდობის სპეციალური მეცადინეობები სამოქალაქო ომის ცალკეულ სამხედრო ოპერაციათა გასარჩევად და მისი ეპიზოდების შესახებ, ამასთანავე, შეისწავლონ საჭირო რუკები და სქემები, ძალთა განლაგება, სარდლობის გეგმები, ოპერაციათა თანმიმდევრობა.

ამ მეცადინეობისათვის რეკომენდებულ იქნას შემდეგი თემები:

ცარიცინის გმირული დაცვა;

დენიკინის განადგურების სტალინური გეგმა და მისი განხორციელება;

პიტერის დაცვა და იუდენიჩის განადგურება;

სტალინი და ძერჟინსკი პერმთან;

პირველი ცხენოსანი არმიის ოპერაციები;

კიევის განთავისუფლება პოლონელ თეთრებისგან;

პერეკოპის აღება.

5. კომკავშირის პოლიტიკურ სკოლებსა და წრეებში და თავდაცვა-ავიაქიმის სასწავლო ორგანიზაციებში (აეროკლუბებს, სკოლები, სასწავლო პუნქტები, მსროლელთა კლუბები და საზღვაო სკოლები) მოეწყოს ორი მეცადინეობა თემებზე:

1) სტალინი და წითელი არმია (ამხანაგ ვოროშილოვის წიგნის მიხედვით).

2) წითელი არმიის 20 წელი.

6. მუშურ-გლეხური წითელი არმიის 20 წლისთავის გარშემო პოლიტიკურ მუშაობაში აუცილებლად საჭიროა გამოყენებულ იქნან კომკავშირელი პროპაგანდისტები, კომკავშირისა და თავდაცვა-ავიაქიმის აქტივი, ყველა საუკეთესო აგიტატორი-კომკავშირელი და თავდაცვა-ავიაქიმელი, რომელნიც აქტიურად მუშაობდნენ საარჩევნო კამპანიის დროს.

კომკავშირის საქალაქო კომიტეტებმა, რაიკომებმა და თავდაცვა-ავიაქიმის სათანადო საბჭოებმა ჩაატარონ პროპაგანდისტთა და აგიტატორ-წამკითხველთა ინსტრუქტაჟი, მოამარაგონ ისინი ლიტერატურით, სწორად გაანაწილონ მათი ძალები, რათა საგიტაციო მუშაობით მოიცვან ყველა მშრომელი, ამასთან დაეყრდნონ საარჩევნო კამპანიის გამოცდილებას. საგიტაციო მუშაობაში ფართოდ გამოიყენონ კინოფილმების ჩვენება, სამხატვრო თვითმოქმედება, საღამოები და კონცერტები, მიძღვნილი წითელი არმიისადმი.

7. საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტი და თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭო წინადადებას აძლევენ კომკავშირისა და თავდაცვა-ავიაქიმის ყველა ორგანიზაციას უმოკლეს ვადებში დაამთავრონ მუშაობა იმისათვის, რომ დააკომპლექტონ სასწავლო ორგანიზაციები — აეროკლუბები, საზღვაო სკოლები, ჰაერსაწინაღო - ქიმიური თავდაცვის სკოლები და სასწავლო პუნქტები, მსროლელთა გუნდები, ჰაერსაწინაღო-ქიმიური თავდაცვის ჯგუფები საცხოვრებელ სახლებსა და სკოლებში და ა. შ., რათა მუშურ-გლეხური წითელი არმიისა და ფლოტის წლისთავისათვის თავდაცვა-ავიაქიმის მთელი სასწავლო ქსელი სავსებით დაკომპლექტებული იყოს და ნორმალურ სასწავლო მუშაობას შეუდგეს.

8. კომკავშირისა და თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციების კრებებზე აღინიშნონ საუკეთესო კომკავშირელები და თავდაცვა-ავიაქიმელები, რომელთაც შეიძინეს გარკვეული სამხედრო კვალიფიკაცია— პილოტების, მსროლელების, ტანკისტების, პარაშუტისტების, კავალერისტების, ჰაერსაწინაღო-ქიმიური თავდაცვის ინსტრუქტორების, რადისტებისა და ა. შ.

საკ. ალკკ საქალაქო კომიტეტებმა (რაიკომებმა) და თავდაცვა-ავიაქიმის საქალაქო საბჭოებმა (რაისაბჭოებმა) მოაწყონ თავდაცვა - ავიაქიმის საფრენოსნო სკოლათა მოსწავლეების და პილოტების, საუკეთესო მსროლელების, საზღვაო სკოლათა მოსწავლეების, პარაშუტისტებისა და სხვათა შეხვედრები მუშურ-გლეხური წითელი არმიის სათანადო სახის იარაღის მეომრებთან, რათა კომკავშირელები და თავდაცვა-ავიაქიმელები, რომელთაც მიიღეს ან იღებენ სამხედრო კვალიფიკაციას თავდაცვა-ავიაქიმში, გაეცნონ მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეომართა გამოცდილებას, მომზადებას, ტრენირების პრაქტიკას და სამხედრო კვალიფიკაციის მისაღწევად და ასამაღლებლად თავისი შემდგომი მუშაობით გაუთანაბრდნენ წითელი არმიის მეომართა მომზადებულობის დონეს.

9. მუშურ-გლეხური წითელი არმიის 20 წლისთავისათვის მოეწყოს სასროლო შეჯიბრება, საჩვენებელი სნაიპერული სროლა, მოეწყოს თავდაცვის ნორმების მასობრივი ჩაბარება, ჩატარდეს თავდაცვის დღესასწაულები, რომლებზედაც მშრომელებს უჩვენონ თავდაცვა-ავიაქიმის კავალერისტთა, მსროლელთა, თავდაცვის ჯგუფთა მუშაობა.

საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტი.

თავდაცვა-ავიაქიმის ცენტრალური საბჭო

ეროვნული ბიბლიოთეკა

23 წელი აკაკი წერეთლის გარდაცვალებიდან

„ამას ველოდი, მოვესწარ, ვიცინი აღარ ვსტირი-მე“

ისტორიული თემები აკაკის შემოქმედებაში

აკაკი წერეთელი ისტორიულ თემებს სხვადასხვა ჟანრში იყენებდა. იგი უდიდესი სიყვარულით ეკიდებოდა საქართველოს წარსულს. აკაკის მოთხრობები და პოემები უმთავრესად ისტორიული ხასიათისაა. ჩვენი სამშობლოს სახელოვანი წარსული მდიდარ მასალას აძლევდა მწერალს.

„ისტორიული სიმართლე მალაპარაკებს და არა პატრიოტული გატაცება, — სწერს აკაკი, — რომ ჩვენი წარსული გასაოცარია: უძველეს დროიდან დაწყებული მისთანა ხალხი არავინ გამოჩენილა, რომ ამ პატარა ქვეყანას არ მოზღვავებოდეს... ეგვიპტე, ბაბილონი, ასურეთი, არაბეთი, მონღოლეთი, საბერძნეთი და სხვანი სულ ამ პატარა ქვეყანას ეძალებოდნენ... საქართველო იდგა როგორც სალი კლდე ზღვის პირად, რომელსაც უზარმაზარი ტალღები ეხეთქებიან, მაგრამ დაუძლურებული და ქაფად ქცეულნი ისევე უკან იქცევიან“.

ამიტომ მოსავს ის დიდების შარავანდედით თანამედროვეთა თვალში ჩვენი სამშობლოს წარსულს.

მაშინ, როდესაც ქართველების მისწრაფებას და სურვილს მეფის რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკა ფეხქვეშ სთელავდა, მით უფრო მიმზიდველად გამოიყურებოდა ეს წარსული. საჭირო იყო ჩვენი წარსულის კვლავ გაცოცხლება, რომ თანამედროვეებს ეგრძნოთ „თავისუფალი საქართველოს“ ძალა და მნიშვნელობა, და აკაკიც ამ მიზნით ჰკიდებდა ხელს ისტორიულ თემებს. მეფის რუსეთის ტყვეობიდან „პატარა საქართველოს“ გამოხსნის საშუალებას ეძებდა აკაკი და თავისი სახელოვანი მოღვაწეობაც ამ თემას შეალია.

ისტორიული თემებიდან აკაკი იღებდა იმას, რაც უფრო მიუდგებოდა თავისი დროის საქართველოს. ის უდიდესი გულმოდგინებით არჩევდა ისეთ მომენტებს, სადაც ნათლად გამოსჭვივოდა ქართველი ხალხის გმირობა და ვაჟკაცობა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, და ამ მომენტებს უფარდებდა ქართველების მაშინდელ მდგომარეობას. აკაკი ისტორიული თემის დამუშავების დროს თავისი შემოქმედების დამახასიათებელი „ყოველდღიურობის“ პრინციპიდან გამოდიოდა. ამიტომ აკაკის მიერ დამუშავებული ისტორიული თემა ხშირად ჰკარგავდა ფაქტოლოგიურ მხარეს. ისტორიულ თემებს აკაკი მეტად თავისუფლად ეპყრობოდა. ამიტომ ხშირად ისტორია ის არ არის, რაც იყო, არამედ ის, რაც ავტორს სურდა და, რასაც თანამედროვეობა მოითხოვდა. ისტორიული სიუჟეტი აკაკისათვის საშუალება იყო თანამედროვე მდგომარეობის ასაწერად. აკაკი განგებ იღებდა ისტორიულ თემებს. საშინელი საცენზურო პირობების დროს ისტორიულ თემებში, „ბრწყინვალე საქართველოს სახელოვან წარსულში“, შეიძლებოდა წარმოდგენილი ყოფილიყო თანამედროვეთა მდგომარეობა. დიდი ხელოვანის ხელში ჩვენი წარსული მიმზიდველია და საოცნებოდ არის დასახული. და როდესაც მკითხველი ადარებდა იმას, რაც არის და იმას, რაც იყო, მას უდიდესი სიძულვილი ებადებოდა მეფის რუსეთის მიმართ და ამით მიზანიც მიღწეული იყო. ამ მხრივ საინტერესოა აკაკის „ბაში-აჩუკი“, რომლის ძირითადი მიზანი იყო ისტორიული სიუჟეტის გამოყენებით ქართველები აემხედრებინა მეფის რუსეთის წინააღმდეგ.

„ბაში-აჩუკი“ ისტორიული მოთხრობაა, რომელიც არღვევს ჩვენი ისტორიის ტრადიციულ გაგებას. ქართველების ისტორია უფრო მეფეებისა და თავად-აზნაურების ისტორია იყო, ვიდრე მშრომელი ხალხის ნამდვილი ისტორია, და ამიტომ ტყუილად როდი სწუხდა აკ. წერეთლის უდიდესი თანამებრძოლი ილია ჭავჭავაძე: „ამ ოხერ ჩვენს ისტორიაში ხალხი არსად სჩანსო“.

აკ. წერეთელმა თავისი მოთხრობა „ბაში-აჩუკში“ მთავარ გმირად დაბალი ფენის წარმომადგენელი გამოიყვანა და ის გახადა შაჰაბაზის წინააღმდეგ ქართველების აჯანყების მეთაურად.

აკაკიმ აქ ისტორიული ფონი გამოიყენა ქართველთა თანამედროვე მდგომარეობის ასაწერად. ისტორიული თემა ახალი მოვლენებით გააცოცხლა, იგი შეავსო ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური დეტალებით, მრავალი შემთხვევა და მოვლენა თანამედროვეობიდან აიღო და შეუფარდა ისტორიულ მომენტს. „ბაში-აჩუკის“ მეხუთე თავი რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის საბრალდებო დასკვნაა. შაჰაბაზის ვერაგული პოლიტიკის დახასიათებაში ოსტატურად არის მოცემული რუსეთის მეფის კოლონიალური პოლიტიკა. აქ სარკესავით სჩანდა აკაკის თანამედროვე საქართველო. სპარსეთის პოლიტიკის დახასიათებაში ქართველები რუსეთის ბატონობით გამოწვეულ მწარე სინამდვილეს კითხულობდნენ. ამით ისტორიული ფონი უაღრესად აქტუალურ თანამედროვე თემად იქცეოდა. ასევეა აკაკის სხვა პოემებსა და მოთხრობებშიც.

ამგვარად დამუშავებულ თემებს უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა ჰქონდა. ისინი ხელს უწყობდნენ კოლონიალურ საქართველოში ფეხადგმული ნაციონალურ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის გაღვივებას. აკაკის ისტორიულ მოთხრობებში და პოემებში გასაგები, უაღრესად ხალხური, სადა ენით იყო გადმოცემული სიძულვილი მეფის რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკისადმი.

დიდი აკაკის ოცნება მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განხორციელდა.

ახლა თავისუფალი საქართველოს თავისუფალი და ბედნიერი მშრომელები ბეჯითად სწავლობენ აკაკის ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

ს. ჟილაია

პოეტი—მომღერალი

აკაკის შემოქმედება ქართული კლასიკური პოეზიის ერთერთი უმაღლესი ნიშანსვეტია. აკაკის პოეზია დაკავშირებულია თავისი თანამედროვეობის და მშრომელი ხალხის ცხოვრების სინამდვილესთან. მთელი მისი შემოქმედება გამსჭვალულია მე-19 საუკუნის მღელვარე და დიდი პრობლემებით, პროგრესული იდეებით.

დიდი რუსი ხალხის გენიალური კრიტიკოსი ბელინსკი პუშკინის შემოქმედების შესახებ სწერდა: „პუშკინი ეკუთვნის იმ მოვლენებს, რომლებიც მუდმივს მოძრაობაში იმყოფებიან და მუდამ ცოცხლობენ; ისინი არ იყინებიან იმ წერტილზე, რომელზედაც მათ სიკვდილმა მოუსწრო, არამედ განაგრძობენ განვითარებას საზოგადოების შეგნებაში. ყოველი ეპოქა გამოსთქვამს მათზე თავის აზრს“.

დიდი კრიტიკოსის ეს სიტყვები, პუშკინის შესახებ ნაფქვამი, შეიძლება მთლიანად გადავიტანოთ აკაკიზედაც, რადგან აკაკი უშრეტი წყარო იყო დიდი მხატვრული პოეტური პროდუქციისა. მას ჰქონდა მაღალი პოეტური კულტურა და ლირიკული განცდის დიდი სიღრმე.

აკაკიმ თავისი პოეზია ღრმად დაუკავშირა ხალხური ზეპირსიტყვაობის ტრადიციებს. ამიტომაც აკაკის პოეზია, როგორც ხალხის ფიქრების, გრძნობებისა და ტკივილების გამომხატველი, უდიდესი სიყვარულით მიიღო ქართველმა ხალხმა. აკაკი წერეთელი ნამდვილი სახალხო მგოსანია. აკაკი პოეტი-ტრიბუნია, პოეტი-მომღერალია. „[illegible] ფი და ნალარაო“, — სწერს ის ერთ თავის ცნობილ ლექსში. ეს სიტყვები პირდაპირ საპროგრამო ძახილი იყო მთელი მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაში.

აკაკი გრძნობდა ძველი ცხოვრების დიდი კლდის რღვევას. მისი გამჭრიახი გონება ნათლად ხედავდა თავისი კლასის ოცნებისა და სინამდვილის სამუდამოდ დაშორებას ერთმანეთისაგან, ამ ორ მოპირდაპირე პოლუსს შორის დაიბადა მისი მეოცნებე მუზა, მუზა ნარნარი და გულისამჩუყებელი.

აკაკი, როგორც ჰეინე, „მთელი თავისი არსებით ცეცხლი და მახვილი, სიხარული და გალობა იყო“. ამიტომ მისი გული „მუდამ ჭაბუკობისაკენ მიიწევდა“.

აკაკისათვის ცხოვრება მოქმედებისა და შემოქმედების გაერთიანებული სარბიელია, მისთვის ცხოვრება ბრძოლაა და პოეტი ამ ბრძოლის გაბედული ჯარისკაცია. აკაკის თავისი დროის ყოველდღიური ცხოვრების არცერთი დეტალი არ გამოჰპარვია.

აკაკი საყვარელი მგოსანი იყო, მას ისარი შხამიანი ჰქონდა, მისი ენის წვერზე წამოგება დიდი უბედურება იყო.

„ანწლისაგან არ იყარგება, რომ გაკეთდეს ატამი;
ჩორჩისაგან გაიზრდება მხოლოდ
დიდი ვირი“, —

ამბობდა აკაკი გაპირუტყვებული თავადებისა და აზნაურების მისამართით.

აკაკი სასტიკად ებრძოდა თავის თანამედროვე სინამდვილეს, მის წინ ჰქრებოდა ფეოდალური საქართველოს ქედმაღლობა. ხედავდა რა მეფის რუსეთის წინაშე დაჩოქილსა და ხელებაპყრობილ ქართველ თავად-აზნაურებს, გრძნობიარე პოეტი რისხვით თავს ატყდებოდა მათ.

აკაკი თავისი გესლიანი სატირით დასცინოდა თვითმპყრობელობას და კიცხავდა თავადაზნაურულ საქართველოს.

აკაკის ეკუთვნის ყველა დროისათვის გენიალური თქმა: „ხალხის ამმაღლებელი თვით ამაღლდება ცათამდისო“. ასე ესმოდა ამ დიდ პოეტს ხალხთან ურთიერთობის დიდი საკითხი.

თუ პოეზია საერთოდ ხალხის მიერაა შექმნილი და მისი პირმშოა, აკაკი წერეთელიც ხალხის დიდი მომღერალია.

დ. ფანჩულიძე.

აკაკი

სულიკო

საყვარლის საფლავს ვეძებდი,
ვერ ვნახე!.. დაკარგულიყო!..
გულამოსკვნილი ვჩიოდი:
„სადა ხარ, ჩემო სულიკო?!“
ეკალში ვარდი შევნიშნე,
ობლად რომ ამოსულიყო;
გულის ფანცქალით ვკითხავდი:
„შენ ხომ არა ხარ, სულიკო?!“
ნიშნად თანხმობის კოკობი
შეირხა... თავი დახარა,
ცვარ-მარგალიტი ციური
დაბლა ცრემლებად დაჰყარა.
სულგანაბული ბულბული
ფოთლებში მიმალულიყო,
მივეხმატკბილე ჩიტუნას:
„შენ ხომ არა ხარ სულიკო?!“
შეიფრთქიალა მგოსანმა,
ყვავილს ნისკარტი შეახო,
ჩაიკვნეს-ჩაიჭიკჭიკა,
თითქო სთქვა: „დიახ, დიახო!“
დაგვქათქათებდა ვარსკვლავი,
სხივები გადმოსულიყო,
მას შევეკითხე შეფრქვევით:
„შენ ხომ არა ხარ, სულიკო?!“
დასტური მომცა ციმციმით,
სხივები გადმომაყარა
და იმ დროს ყურში ჩურჩულით
ნიავმაც ასე მახარა:
„ეგ არის, რასაც ეძებდი,
მორჩი და მოისვენეო!
დღე დაიღამე აწ ტკბილად
და ღამე გაითენეო!
„სამად დაშლილა ის ერთი:
ვარსკვლავად, ბულბულ, ვარდადო,
თქვენ ერთმანეთი რადგანაც
ამ ქვეყნად შეგიყვარდათო“.
მენიშნა!.. აღარ დავეძებ
საყვარლის კუბო-სამარეს,
აღარც შევჩივი ქვეყანას,
აღარ ვღვრი ცრემლებს მდუღარეს!..
ბულბულს ყურს ვუგდებ, ვარდს
ვყნოსავ,
ვარსკვლავს შევყურებ ლხენითა
და, რასაცა ვგრძნობ მე იმ დროს,
ვერ გამომითქვამს ენითა!
ისევ გამეხსნა სიცოცხლე,
დღემდე რომ მწარედ კრულ იყო,
ახლა კი ვიცი, სადაც ხარ:
სამგან გაქვს ბინა, სულიკო!..

1895 წელი, 9 ივლისი.

აკაკის ნაკვესებიდან

აკაკი და ერთი ქართველი ახალგაზრდა ი. მ-შვილი, თეატრში იყვნენ ერთად. ორნივე პარტერში ისხდნენ. ი. მ-შვილმა აკაკის ერთი ღენერალი ანიშნა თვალით, მერე ხელი შუბლზე მიიდო და გააქნია — გენერლის თავში ვითომ არაფერიაო.

— დიდი ხანია, ვიციო, — თავის კანტურით უპასუხა აკაკიმ.

⁂

ცნობილმა ქართველმა გრავიორმა გრ. ტატიშვილმა აკაკის საფეშქაშოდ მისი სახელი და გვარი მარმარილოს ფიცარზე ვარაყით ამოსჭრა და მიართვა.

— დიდად გმადლობ, ჩემო გიგო, მაგრამ სახლი მე არა მაქვს და კარი... ასე, რომ ეს ფიცარი ან შუბლზე უნდა მივიკრა და ან ზურგზედაო — უთხრა აკაკიმ.

ერთმა პეწენიკმა და კოხტად გამოწყობილმა ახალგაზრდა თავადიშვილმა უთხრა აკაკის:

— ეს რა უშნოდ შეკერილი ტანისამოსი გაცვია, თითქოს ყვავების საფრთხობელააო!

— ე, რა კარგი ტანისამოსი დაუკიდნიათ ამ ხეზედაო: ნეტავი ვისი უნდა იყოსო? — პასუხის მაგივრად სიტყვა მოუბრუნა აკაკიმ მკვეხარა თავადს.

⁂

ა...ძე განთქმული მონადირე იყო, — ეს მთელმა ქალაქმა იცოდა. იგი ერთხელ აკაკის ელაპარაკებოდა და სხვათა შორის, თავის ახალ გაწვრთნილ მეძებარს აქებდა.

— ისეთი „სტოიკა“ იცის, აკაკი, ისეთი... რომ, რა ვეტყვი, სულ შუბლში მიცქერის.

— რა კარგ სამწყერო ადგილისათვის მიუგნია დალოცვილსაო! — უთხრა აკაკიმ.

მონოგრაფია აკაკი წერეთელზე

საქართველოს დიდი მგოსნის აკაკი წერეთლის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს საბჭოთა მწერლების გამომცემლობა „ფედერაცია“ სცემს დიდ მონოგრაფიას აკ. წერეთელზე ლ. ასათიანის რედაქტორობით. მონოგრაფიის გამოშვება გათვალისწინებულია ორ წიგნად, რომლებშიაც შევა აკაკის თანამედროვეთა მოგონებანი, აკაკისადმი მიძღვნილი ლექსები და აკაკის ნაკვესები. წიგნი საუკეთესოდ იქნება დასურათებული. პირველი წიგნი გამოვა მიმდინარე წლის დამლევისათვის.

შალვა რადიანი

აკაკი წერეთლის ლიტერატურული მემკვიდრეობა

აკაკი წერეთელი მეცხრამეტე საუკუნის სამოციანი წლების მოღვაწეთა დიდი წარმომადგენელია. გარდა მრავალრიცხოვანი ლექსებისა და პოემებისა, ა. წერეთლის ლიტერატურული მემკვიდრეობა შეიცავს მოთხრობებსა და სცენებს, კომედიებსა და დრამებს, მემუარებსა და ფელეტონებს, პუბლიცისტურ და კრიტიკულ წერილებს და სხვ. მთელი თავისი სამწერლო მოღვაწეობის მანძილზე, რომელიც თითქმის 60 წელს შეიცავს, აკაკი ყოველთვის ეხმაურებოდა საჭირბოროტო საკითხებს, არასდროს გვერდი არ აუვლია არცერთი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მოვლენისათვის. ეს აძლევდა მის შემოქმედებას უაღრეს აქტუალობასა და პოპულარობას ფართო მასებში.

ილია ჭავჭავაძესთან ერთად აკაკი წერეთელი არის საქართველოს ნაციონალურ - განმათავისუფლებელი მოძრაობის უთვალსაჩინოესი მოღვაწე, ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ მებრძოლი. მისი მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა რუსეთის „რაზნოჩინული“ ინტელიგენციის საზოგადოებრივი მოძრაობის ზეგავლენით. როგორც ცნობილია, ჩვენი სტუდენტობა, რომელიც სამოციან წლებში რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდა, გატაცებით ეწაფებოდა იმ დემოკრატიულ - ოპოზიციურ შეხედულებებს, რომლებიც გამოსჭვიოდა ჟურნალ «Современник»-ის ფურცლებზე. ბელინსკის, ჰერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის საზოგადოებრივი შეხედულებანი ის წყარო იყო, საიდანაც ჩვენი სამოციანი წლების ახალი თაობის ინტელიგენცია თავის გონებრივ საზრდოს იძენდა.

აკაკი წერეთელი ამ ახალი ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელი იყო. მასთან ერთად ჩაატარა მან მძაფრი ბრძოლა საქართველოს ძველი კონსერვატიული თაობის — „მამების“ წინააღმდეგ.

სამწერლო მოღვაწეობის ასპარეზზე გამოსვლისთანავე ა. წერეთელმა მოიტანა ხელოვნებისა და ლიტერატურის ახალი გაგება, ახალი ესთეტიკური პრინციპები. ქართულ ლიტერატურასა და ესთეტიკურ აზროვნებაში აკაკიმ ი. ჭავჭავაძესთან ერთად დაამკვიდრა რეალიზმი. აკაკი იცავს ლიტერატურის, ხელოვნების ორგანულ კავშირს ცხოვრებასთან, იგი ცხოვრების შესწავლას, მის ღრმა ათვისებას აყენებს მხატვრული შემოქმედების არსებით მომენტად. სწორედ ეს პრინციპი ხდება სახელმძღვანელოდ მთელ მის შემოქმედებითს პრაქტიკაში.

ა. წერეთელი მრავალმხრივი მწერალია. მის შემოქმედებაში სინამდვილე აისახა არა ერთი რომელიმე კუთხის ფარგლებში, არამედ მთელ თავის მრავალფეროვნებაში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აკაკი საზოგადოებრივი საკითხებისაგან მაინც გამოჰყოფს მთავარს, არსებითს.

ა. წერეთლის შემოქმედების მთავარი თემა „ცხრაკლიტულში“ მჯდომარე „ნესტან-დარეჯანის“ — საქართველოს განთავისუფლება და აღდგენა იყო, იგი თავისი კალმით იბრძოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობდა ქართველი ხალხის დამონებას. ერთის მხრივ, მეფის კოლონიზატორების სატრაპთაგან, მეორე მხრივ, ქართველი თავადაზნაურობისაგან ილაჯგაწყვეტილი ხალხი გმინავდა. ემყარებოდა რა რეაქციულ ქართველ თავადაზნაურობას, რუსეთის თვითმპყრობელობა ანმტკიცებდა ჩვენს ქვეყანაში თავის ბატონობას. ამ ატმოსფეროში წარმოიშვა ა. წერეთლის ოცნება თავისი ქვეყნის ნაციონალურ აღორძინებაზე. მან მთელი თავისი შემოქმედებითი შესაძლებლობის დიდი ნაწილი ამ საკითხის გაშუქებას მიუძღვნა:

ცა ფიროზ, ხმელეთ ზურმუხტო,
სულის ჩამდგმელო მხარეო,
შენი ვარ შენთვის მოვკვდები,
შენზედვე მგლოვიარეო...

ასე უსაზღვროა ა. წერეთლის სიყვარული და თაყვანისცემა თავისი სამშობლოსადმი. მაგრამ თვითმპყრობელობის ველური პოლიტიკის შედეგად ქვეყანა დაეცა, განადგურდა. „დღეს საქართველო დაცემულია,—სწერდა ის,—ადრე კი თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში იგერიებდა შემოსეულ მტრებს და თუმცა დამცირდა, მაგრამ როგორც რკინა ცეცხლში, ისე კი გაფოლადდა და საშვილიშვილო ანდაზაც დაგვიგდო: „ჭირსა შიგან გამაგრება, ისე უნდა ვით ქვიტკირსაო“ და „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო“ — გვითხრეს რუსთაველის პირით. ამ უკანასკნელმა საუკუნემ, რომელიც სულ სხვაგვარ პოლიტიკას ადგა, სულიც შეუბორკა და ხორციც: ხორციელად ვითომ მშვიდობა მიანიჭა — მაგრამ ყოველგვარი მისი მოქმედება, ყოველი ბიჯის გადადგმა მიმართული იყო, რომ სული გაეხრწნა, მოეკლა და კიდეც მიაღწია მიზანს. ვიმეორებ, რომ დღევანდელი ქართველები სულითაც შებღალული ვართ და ხორცითაც“. ეს მდგომარეობა აწუხებს და აღელვებს პოეტს, იგი დაუფარავად აღნიშნავს იმ ეროვნულ შევიწროვებას, რომელსაც ქართველი ხალხი რუსეთის თვითმპყრობელობის, ბიუროკრატიულ - პოლიციური რეჟიმის ბატონობის დროს განიცდიდა:

მეგულები ციხეში,
ცხრაკლიტულში მჯდომარე...
შენთვისებას გიპირებს
გაიძვერა მოყვარე.
გაუფრთხილდი, ნუ გჯერა
მაგის ტკბილი ნანინა,
შენზე წინაც სხვა ბევრი
მოხიბლა, შეაცდინა.
გაუმაგრდი განსაცდელს,
აიტანე ტყვეობა...

ა. წერეთელი მოუწოდებს ხალხს მონობის ბორკილებისაგან თავის დასახსნელად.

ა. წერეთელი დიდი რწმენით იყო გამსჭვალული თავისი სამშობლოს მომავლისადმი, მას სჯეროდა მისი განთავისუფლება თვითმპყრობელობისაგან. მას მტკიცედ სწამდა, რომ დადგება დღე, როცა მისი სამშობლო გადააგდებს მჩაგვრელთა უღელს, გაშლის თავის ძალას და აყვავდება. მრავალ მის ლექსში მოისმის შეუდრეკელი იმედი მომავლისა:

მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გასწყვეტს გმირთა-გმირი,
სიხარულით შეიცვლება
ამდენი ხნის გასაჭირი...

სამშობლოს განთავისუფლების, ბედნიერი ცხოვრების შექმნის საქმეს ა. წერეთელი უკავშირებს მშრომელ ხალხს, მასში ხედავს იგი გოლიათურ ძალასა და ენერგიას.

ა. წერეთლის სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის პერიოდში გლეხობა მეტად აუტანელ პირობებში იმყოფებოდა, იგი გმინავდა ბატონყმობის მძიმე უღლის ქვეშ. საზოგადოების პროგრესული ელემენტები ილაშქრებდნენ ამ მდგომარეობის წინააღმდეგ. ა. წერეთელი, როგორც თერგდალეული, მოწინავე ადამიანი, ვერ ურიგდებოდა ყმა-გლეხობის საშინელ მდგომარეობას. ჯერ კიდევ ბატონყმობის მოსპობამდე გამოქვეყნებულ ლექსებში იგი ხმას იღებს გლეხობის დასაცავად. 1861 წელს დაწერილ ლექსში, რომელსაც „მუშური“ ეწოდება, პოეტი გარკვევით აღნიშნავს გლეხთა უმწეო მდგომარეობას, უუფლებობას და ეკონომიურ სიდუხჭირეს. აი რას მღეროდნენ მაშინ გლეხები:

მარტო ჩვენთვის არ ვმუშაობთ,
სხვისიც გვმართებს სამსახური:
ბატონი გვყავს, ვართ საწყალი
უპატრონო, უბედური.
ყველა თავში გვიჩაჩქუხებს,
გარეშე და შინაური.

ა. წერეთელი აღფრთოვანებით შეხვდა ბატონყმობის გაუქმებას. ამ ურთიერთობის მოსპობამ გლეხს მიანიჭა პირადი თავისუფლება. ეს პოეტს ძლიერ ახარებს, ამაში ხედავს ის ხალხის უკეთესი ცხოვრების, მომავლის პირობას. დედა ახალშობილ შვილს უმღერის: „გაიზრდები, გენაცვალე, თავისუფალიო: ბატონი ვერ შეგაწუხებს, ვერც გაგტეხს ვალიო“...

ა. წერეთელი თავის ლექსებში გლეხობის ენერგიული, დაუზარებელი შრომის სურათებსაც იძლევა. ლექსი „სიმღერა მკის დროს“ გლეხის მინდვრად შრომის უძლიერესი მხატვრული განსახიერებაა. სხვათა შორის აღსანიშნავია, რომ აკაკი გლეხობასთან დაახლოვების საქმეში ისე შორს მიდის, რომ 1905 წ. ერთერთ პოემაში („მოხუცის გრძნობა“) აცხადებს, რომ „სიმდ ავიღე კალამი, ჩანგით შევმართე წერასა და შევუერთე ჩემი სვეც გლეხების ბედისწერასა“.

თავის დროზე ბევრს მოხვედრია ა. წერეთლის მძაფრი სატირის მახვილი. აკაკი ნათლად ხედავს, რომ მის დროინდელ თავადაზნაურულ საზოგადოებაში გამეფებულია ფარისევლობა, ბოროტება, შური, რომ ადამიანი „ყელში უჭერს ხელს თავის მოძმეს სულის ამოსახდელად“. აკაკი უყურადღებოდ არ სტოვებს მღვდლების ფარისევლობასა და გაიძვერობას. მისი ბასრი სატირა მიმართული იყო ვაჭრის ექსპლოატატორულ-გაიძვერული მოქმედების წინააღმდეგ, რომელიც „უცდის მარჯვე შემთხვევას, რომ ამოგვაძროს მით სული“, რომელიც „სოფელს ატყავებს უშიშრად და თამამად ჰხრავს ქალაქსა“... როგორც ვხედავთ, ა. წერეთელს არ დაუტოვებია ძველი ცხოვრების არცერთი კუნჭული, საითაც არ მიემართოს თავისი სატირა.

არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს, რომ 1905 წლის რევოლუციამ სერიოზული გამოძახილი გამოიწვია ა. წერეთელში, იგი მთელი რიგი ლექსებით გამოეხმაურა ხალხის ამ მოძრაობას:

ამას ველოდი, მოვესწარ,
ვიცინი, აღარ ვსტირი მე...

რამდენადაც რევოლუციური მოძრაობა აღმავლობის გზით მიდიოდა, წერეთლის აღფრთოვანებაც უფრო საგრძნობი ხდებოდა. იგი მოუწოდებდა ხალხს თვითმპყრობელობის დამხობისაკენ:

ძირს, მთავრობავ უსამართლო,
ველარ ვიტანთ გასაჭირსო,
ყოველი მხრით გეძახიან:
ძირს მთავრობავ... აწ კი ძირსო...

ამ ხანებშივე დაწერა აკაკიმ თავისი ცნობილი „ინტერნაციონალი“. იმდენად განიმსჭვალა მტრობითა და ზიზღით მოხუცი პოეტი თვითმპყრობელობისადმი, რომ იგი ნატრობდა მტრის სისხლით შეღება ჭაღარა.

რასაკვირველია, ა. წერეთლის მიერ პირველი რევოლუციის მიღებას ისე უბრალოდ ვერ ავხსნით, როგორც ამას ზოგიერთი ფიქრობს. მას უაღრესად რთული საფუძველი აქვს. მისი სათავეები უნდა ვეძიოთ ა. წერეთლის ეროვნულ მრწამსსა და ფართო დემოკრატიზმში.

უაღრესად თავისებური და განსაკუთრებულია ა. წერეთლის ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. თავისი მხატვრული შემოქმედებით მან ეპოქის პროგრესულ მოთხოვნილებებს უპასუხა. მისი ლექსები, პოემები, მოთხრობები, გამსჭვალულნი ღრმა საზოგადოებრივი ინტერესებით, ყოველთვის აღვიძებენ მკითხველთა გონებას აქტივობისა და წინსვლის შეგნებით.

ა. წერეთელმა მხატვრულ მწერლობას უაღრესად დიდი საზოგადოებრივი რეზონანსი მისცა. იგი უსაყვედურებდა მწერლებს ხალხისაგან დაშორებას: „ხალხში ჩამდგარი არ ვართო“... მაგრამ ამას ვერ ვიტყვით თვით მის შესახებ. იგი ყოველთვის იყო „ჩამდგარი ხალხში“. ა. წერეთელი ყოველთვის სარგებლობდა ხალხში განსაკუთრებული პოპულარობითა და სიყვარულით. აკაკის მრავალ ლექსს მღეროდა და მღერის ჩვენი ხალხი.

ა. წერეთლის პოეტური ნაწარმოებნი გამოირჩევიან რეალისტური გამოსახულებით, სისადავითა და ხალხურობით. აკაკიმ შექმნა დამოუკიდებელი ფორმა პოეტური ხელოვნებისა, იგი დაშორდა თავადაზნაურულ-არისტოკრატიული პოეზიის სტილს და ჩამოაყალიბა ახალი რიტმი და ინტონაცია. აკაკი არ იშუორებს არისტოკრატიული პოეზიის აქსესუარებს, იგი თვით აყალიბებს თავის საკუთარ ლექსობრივ ენას, რომელშიაც შეაქვს ხალხის ოქროს საგანძურიდან ამოღებული სიტყვები.

რეალისტურ პრინციპებზე დაყრდნობით აკაკიმ გაბედულად შეიტანა ილიასთან ერთად ლიტერატურულ ენაში ხალხური სიტყვები და გამოთქმები. აკაკის კარგად ესმოდა, რომ ხალხური ენისადმი მიმართვა მწერალს იხსნიდა ხელოვნურობისაგან, ინტელიგენტური „ჯამბაზობისაგან“, აიძულებდა მწერალს ეწერა ყველასათვის გასაგებად და სადად.

ა. წერეთელმა დაილაპარაკა ქართულ ლიტერატურაში ნამდვილი, ე. ი. სადა, ნათელი ხალხური ენით. ა. წერეთლის შემდეგ შეუძლებელი შეიქნა დაბრუნება ძველი საეკლესიო - სქოლასტიკური ენისაკენ. ბრძოლას ლიტერატურული ენის ხალხურობისა და სისადავისათვის აკაკი უკავშირებდა ბრძოლას მაღალი, დიადი ლიტერატურისათვის, რომელიც აღზრდიდა და გაანათლებდა ხალხს.

ა. წერეთელი ჩვენთვის საყურადღებოა არა მარტო როგორც ისტორიული ძეგლი, არამედ როგორც ცოცხალი კულტურული ღირებულება, როგორც იდეურ - მხატვრული გამოცდილების წყარო. სოციალიზმის ქვეყანაში, სტალინური კულტურული რევოლუციის შედეგად, მკითხველთა ახალი მასები ითვისებენ მის მხატვრულ შემოქმედებას. ა. წერეთელი ჩვენთვის არის ცოცხალი მოსაუბრე, ძლიერი შემოქმედი, რომელმაც ღრმა პოეტურ სახეებში გადმოგვცა თავისი ეპოქის მოწინავე ადამიანების გრძნობები და მისწრაფებანი.

თავისუფალი და ბედნიერი საბჭოთა ხალხი მთლიანად იუფლებს დიდი ქართველი მწერლის მემკვიდრეობას. ა. წერეთელი სოციალიზმის ქვეყანაში გახდა ყველასათვის საყვარელი მწერალი, რომელსაც ფართო მასებისათვის მოაქვს დიდი სიხარული და კმაყოფილება.

ესპანეთის კორტესების სხდომა

დოლორეს იბარურის (პასიონარია) გამოსვლა

ბარსელონა, 2 თებერვალი (საკდესი). გუშინ მონსერატის ყოფილ მონასტერში (ბარსელონიდან 50 კილომეტრზე) შესდგა კორტესების (ესპანეთის რესპუბლიკის პარლამენტის) სხდომა. კორტესების სხდომის ადგილი იმისთვის აირჩიეს ბარსელონის გარეთ, რომ კორტესის წევრები, სტუმრები და დედაქალაქის მოსახლეობა დაცულ იქნას ბომბარდირებისაგან ფაშისტების მხრით. ამ მიზნით გუშინ გამოაცხადეს კიდეც, რომ კორტესების სხდომა საერთოდ არ შესდგება, მაშინ როდესაც დეპუტატები უკვე მიემართებოდნენ მონსერატისაკენ.

სხდომაზე ჩამოვიდა ესპანეთის სახალხო ფრონტის დეპუტატთა დიდი უმრავლესობა, აგრეთვე ცენტრის დეპუტატები და ესპანეთის ზოგიერთი ყოფილი მინისტრი და უცხოელი სტუმრები.

გახსნა რა სხდომა, კორტესების თავმჯდომარემ მარტინეს ბარიომ გამოაქვეყნა დეპეშა, ხელმოწერილი ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის 60 წევრის მიერ, რომელნიც სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებებს ეკუთვნიან. ამ დეპეშაში ისინი მიესალმებიან კორტესებს და აღშფოთებას გამოსთქვამენ ფაშისტების მიერ ესპანეთის დაუცველი ქალაქების ბომბარდირების გამო. სხდომის დარბაზში რესპუბლიკის მთავრობის გამოჩენას კორტესების წევრები მქუხარე ოვაციით შეხვდნენ.

ესპანეთის რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა ნეგრინმა თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ ომი შეიძლება დამთავრდეს მხოლოდ გამარჯვებით ყოველგვარი კომპრომისის გარეშე. შეეხო რა საგარეო პოლიტიკის საკითხებს, ნეგრინმა ხაზი გაუსვა ესპანეთის ერთგულებას ერთა ლიგისადმი და განაცხადა, რომ აგრესია, რომლის ობიექტიც არის ესპანეთის რესპუბლიკა, წარმოადგენს საფრთხეს საყოველთაო მშვიდობიანობის საქმისთვის. თავისი სიტყვის დასასრულს ნეგრინმა ამხილა მეამბოხეთა მანევრები, რომელნიც ცდილობენ გაავრცელონ ხმები ზავის მოახლოების შესახებ იმ მიზნით, რომ შეარყიონ რესპუბლიკელთა ზურგის სიმტკიცე. რესპუბლიკური ესპანეთის მთავრობა, სთქვა ნეგრინმა, არ გადასდგამს არცერთ ისეთ ნაბიჯს, რომელმაც შეიძლება ზიანი მოუტანოს ქვეყნის ნაციონალურ და ეკონომიურ დამოუკიდებლობას.

ესპანეთის კომუნისტური პარტიის სახელით კორტესების სხდომაზე გამოვიდა დოლორეს იბარური. მან განაცხადა, რომ კომპარტია მუდამ მხარს უჭერდა სახალხო ფრონტის მთავრობას, და აღნიშნა მთავრობის დიდი წარმატებანი, რომლებიც გამოიხატა სახალხო არმიის მოწყობაში, რეზერვების ზრდასა და მეომართა პოლიტიკური მომზადების გაუმჯობესებაში, რაშიაც მთავარი როლი კომისრებმა შეასრულეს. ამ წარმატებებს შედეგად მოჰყვა ტერუელის აღება და მათ გადამწყვეტი როლი ექნებათ ბრძოლაში. იბარური მიესალმა მთავრობის მტკიცე პოზიციას, რომელიც არავითარ კომპრომისზე არ მიდის მეამბოხეებთან, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ომი შეიძლება დამთავრდეს მხოლოდ მეამბოხეების სრული განადგურებით. მთავრობის პოლიტიკა, განაცხადა იბარურიმ, ხალხის მასების სულ უფრო და უფრო მეტ მხარდაჭერას მოითხოვს. კომპარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სამხედრო მრეწველობის მოწყობასა და განვითარებას. იმ დროს, როცა გერმანია და იტალია ფრანკოს ამარაგებენ საომარი მასალითა და შეიარაღებით, ესპანეთის ხალხი მოკლებულია უფლებას შეიძინოს საზღვარგარეთ ის, რაც მისთვის აუცილებელია. ამიტომ მთავრობამ უნდა უზრუნველჰყოს თავდაცვის მრეწველობის განვითარების პირობები. შემდეგ იბარურიმ აღნიშნა, რომ ცენტრალური მთავრობისა და კატალონიის მთავრობის გულითადი თანამშრომლობა წარმოადგენს დადებით ფაქტორს, რომელსაც კომუნისტები მიესალმებიან, იმედი აქვთ რა რომ ეს თანამშრომლობა დღითიდღე განმტკიცდება. კომპარტიას, განაცხადა იბარურიმ, მტკიცე რწმენა აქვს სახალხო ფრონტისა, რომელიც კიდევ უფრო მტკიცე იქნება, თუ გაძლიერდება მასებით, რომელნიც შრომის ნაციონალურ კონფედერაციაში შედიან. სახალხო ფრონტი—ეს არის ერთიანობა, და კომპარტია იბრძვის ესპანეთის მუშათა კლასის, ხალხის მასებისა და ყველა ეროვნების ერთიანობისათვის. შემდეგ მთავრობისადმი უსაზღვრო მხარდაჭერის შესახებ სიტყვებით გამოვიდნენ კატალონიელი დეპუტატები, ბასკთა ქვეყნის წარმომადგენელნი და კორტესების მთელი რიგი დეპუტატები—სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წევრები.

მიღებულ რეზოლუციაში კორტესების დეპუტატებმა ერთხმად გამოუცხადეს ნდობა სახალხო ფრონტის მთავრობას.

კორტესებმა სრული ნდობა გამოუცხადეს მთავრობას

ბარსელონა, 2 თებერვალი (საკდესი). კორტესებმა (პარლამენტი) ერთხმად მიიღეს თავის სხდომაზე ორი რეზოლუცია. პირველ რეზოლუციაში ნათქვამია:

„კორტესები ცნობად იღებენ მთავრობის მეთაურის განცხადებას და ღრმა კმაყოფილებას გამოსთქვამენ მთავრობის მუშაობით, რომელიც საპარლამენტო მოღვაწეობის შეწყვეტის პერიოდშია ჩატარებული, ულოცავენ მთავრობას მიღწეულ საომარ წარმატებებს და დეპარტამენტების რეორგანიზაციას; ადასტურებენ სრულ ნდობას მთავრობისადმი, და აძლევენ მას რწმუნებას განაგრძოს აღებული ხაზი და მიაღწიოს ომის ძლევამოსილ დამთავრებას. კორტესები ადგენენ შესწყვიტონ სესია ახალ მოწვევამდე“.

მეორე რეზოლუციაში ნათქვამია:

„კორტესები მიესალმებიან რესპუბლიკის სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო არმიებს, რომელთაც სამუდამო მადლობა დაიმსახურეს სამშობლოს მხრივ. კორტესები კმაყოფილებით აღნიშნავენ, რომ ქვეყნის ნაციონალურმა დამოუკიდებლობამ და პოლიტიკურმა სუვერენიტეტმა რესპუბლიკისათვის საჭირო ქმედითი ძალა ჰპოვეს ხალხის მამაც და დისციპლინიებულ ჯარისკაცების სახით, მეთაურებისა და კომისრების და აგრეთვე არმიის ყველაზე უფრო კვალიფიციური წარმომადგენლების სახით“.

ჩინეთის საკითხზე რეზოლუციის მიღება ერთა ლიგის საბჭოს სესიაზე

ჟენევა, 2 თებერვალი (საკდესი). დღეს ერთა ლიგის საბჭოს ღია სხდომაზე მიღებულ იქნა რეზოლუცია ჩინეთის საკითხზე. რეზოლუციის შინაარსი უკვე გადმოცემული იყო.

მას შემდეგ, რაც რეზოლუცია წაკითხულ იქნა, ჩინეთის პირველმა დელეგატმა ველინგტონ კუმ აღნიშნა, რომ ამჟამად იაპონელებს ჩინეთში ჰყავთ მილიონამდე ჯარისკაცი და რომ იაპონიის აგრესიასთან ბრძოლა სწარმოებს 6 ფრონტზე.

უკანასკნელი დროის ყველა ამბები, ხაზგასმით აღნიშნა ველინგტონ კუმ, ადასტურებენ ცნობილ „ტანაკას მემორანდუმის“ თეზისებს, რომლის არსებობას თავის დროზე უარჰყოფდა იაპონიის წარმომადგენელი ერთა ლიგაში. როგორც ვიცით, ამ მემორანდუმში ჩამოყალიბებულია იაპონიის დაპყრობითი გეგმები — ჯერ ჩინეთის დაპყრობა, შემდეგ აზიისა და, ბოლოს, იაპონიის ბატონობის დამყარება მთელს მსოფლიოში.

ველინგტონ კუმ აღნიშნა, რომ ჩინეთის მთავრობა საბჭოსაგან მოითხოვს შესაფერი ზომების მიღებას ჩინეთის დაცვისათვის, მით უმეტეს, რომ არც ერთა ლიგის წარსული პლენუმის რეზოლუციას, არც ბრიუსელის კონფერენციას არ მოჰყვა შედეგად არავითარი ეფექტური ზომები.

„ამჟამად, — განაცხადა ველინგტონ კუმ, — როცა არსებობს ამდენი ეჭვი და რწმენის უქონლობა ერთა ლიგის მომავლისადმი, ჩინეთის მთავრობას გულწრფელად მიაჩნია, რომ საბჭო არა მარტო მოვალეა, არამედ შესაძლებლობაც აქვს მიიღოს ასეთი ეფექტური ზომები იმისთვის, რომ ხალისი დაუკარგოს აგრესორს და დაეხმაროს მის მსხვერპლს, ზომები, რომლებიც აღადგენენ ნდობას ლიგისადმი და აღადგენენ მის პრესტიჟსა და ავტორიტეტს“.

სანამ ჩინეთში დაუსჯელად ვითარდება იაპონიის აგრესია, მშვიდობიანობა ევროპაში კითხვის ქვეშ დარჩება, — სთქვა დასასრულ ველინგტონ კუმ.

ეკვადორის წარმომადგენელმა კევედომ განაცხადა, რომ მიღებული აქვს ინსტრუქცია ხმა მისცეს რეზოლუციას, მაგრამ გამოსთქვა ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნა სახელმწიფოთა ჯგუფის კერძო თათბირზე რეზოლუციის გამომუშავების მეთოდის შესახებ.

პერუს და პოლონეთის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ თავს იკავებენ ხმის მიცემისაგან.

ეკვადორის, პერუს და პოლონეთის დელეგატთა გამოსვლის შემდეგ დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის და სსრ კავშირის დელეგატებმა განაცხადეს, რომ კერძო თათბირი მოწვეულ იქნა ჩინელთა თხოვნით, რომ თათბირის მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტი არაფერს არ ავალებს საბჭოს და რომ, ყოველ შემთხვევაში, ეს სახელმწიფოები თანახმა არიან სესიის გაგრძელებაზე ყოველგვარი ვადით, რომელიც საჭირო იქნება, რათა საბჭოში შემავალმა ამათუიმ მთავრობამ განიხილოს რეზოლუცია.

პოლონეთის და პერუს დელეგატებმა, რომლებმაც განაცხადეს, რომ თავს იკავებენ ხმის მიცემისაგან, რასაკვირველია, ამ შესაძლებლობით არ ისარგებლეს.

შემდეგ სიტყვა აიღო ველინგტონ კუმ და გამოაქვეყნა შემდეგი დეკლარაცია:

„მდგომარეობის უკიდურესი სირიოზულობა შორეულ აღმოსავლეთში საბჭოს მიერ კონკრეტული და ენერგიული ზომების მიღებას მოითხოვს. საბჭოსთვის წარდგენილი რეზოლუცია მოწმობს კვლავ იმ სიმპატიებს, რომლებითაც გამსჭვალული იყო 1937 წლის 6 ოქტომბრის რეზოლუცია, მაგრამ, ჩვენის აზრით, მაინც იგი საკმაო არაა, იმისათვის, რომ პასუხი გაეცეთ მომენტის აუცილებელ მოთხოვნებს. მაგრამ მე ვღებულობ მას ჩემი მთავრობის სახელით, დარწმუნებული იმაში, რომ პლენუმის ზემოაღნიშნული რეზოლუციის მითითებებს მეტი მსვლელობა მიეცემა, ვიდრე დღემდე, და რომ განხილეს, რაზედაც ლაპარაკია დღევანდელ რეზოლუციაში, ენერგიულად და დაუყოვნებლივ იწარმოებს. მე აღვნიშნავ, რომ ჩემი მთავრობა იტოვებს უფლებას სთხოვოს ერთა ლიგას მიიღოს პაქტიდან გამომდინარე დადებითი ზომები იმისათვის, რომ უფრო ეფექტური წინააღმდეგობა გაეწიოს იაპონიის აგრესიას და დახმარება გაუწიოს ჩინეთის გმირულ თავდაცვას. უნდა დავუმატო კიდევ, რომ ჩემ მიერ რეზოლუციის მიღება გამომდინარეობს იქიდან, რომ საბჭოს დღის წესრიგში რჩება ჩინეთის მთავრობის აპელაცია, რომელიც მოუწოდებს ერთა ლიგის პაქტის 10, 11 და 17 მუხლების შეფარდებისაკენ“.

ამის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რეზოლუცია მიღებულია ერთხმად ორის თავშეკავებით, და ერთა ლიგის საბჭოს მეასე სესია დახურულად გამოაცხადა.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ცენტრალურ ჩინეთში

ხანკოუ, 1 თებერვალი (საკდესი). ტიანძინ-პუკოუს რკინიგზის სამხრეთ უბანზე იაპონიის ჯარებმა უკანასკნელი კვირის განმავლობაში მრავალჯერ სცადეს გასულიყვნენ მდინარე ციხეს გაღმა (მანგუანის მახლობლად), მაგრამ ვერ მოახერხეს. მას შემდეგ, რაც საარტილერიო ცეცხლმა და საჰაერო ბომბარდირებამ სავსებით დაანგრია ჩინელთა პოზიციები, ჩინეთის ჯარებმა დაიხიეს მდინარე სიაოციხიდან. ამჟამად ჩინელთა ახალი პოზიციები ამ მდინარის დასავლეთ ნაპირზე იმყოფება. ლინხუაიგუანთან ჩინეთის ნაწილებმა დიდი თავდაცვითი სიმაგრეები ააგეს. 28 იანვარს აქ ჩამოაგდეს იაპონელთა ერთი თვითმფრინავი, რომელიც იაპონიის ჯარების განლაგების ადგილზე დაეცა.

ანხუეისა და ჩეძიანის პროვინციების ფრონტზე მდგომარეობა უცვლელია.

ცენტრალურ ფრონტზე იაპონელებმა მიმართეს ახალ ოპერაციას, რათა ხელთ იგდონ ხუაიან-ნანკინის გზატკეცილი, რომელიც დიდი არხის გასწვრივ მიდის. იაპონელთა ამ ოპერაციის მიზანია მოსწყვიტოს ჩინეთის ის ნაწილები, რომლებიც აღნიშნული გზატკეცილის აღმოსავლეთით იმყოფებიან. იაპონელებმა გზატკეცილის რაიონში დიდი შენაერთები გადაისროლეს. იაპონელთა წინსვლის შესაჩერებლად ჩინეთის ჯარებმა დაანგრიეს გზატკეცილის სამხრეთ უბანი და წყალი მიუშვეს დაბა უძიაჯენს — გზატკეცილის განაპირა ჩრდილოეთის პუნქტს ხუაიანთან.

იაპონიის ავიაცია კვლავ გაძლიერებით უშენს ყუმბარებს უმნიშვნელოვანეს საკვანძო სარკინიგზო პუნქტს—სუიჯოუს.

31 იანვარს იაპონელთა ხუთმა თვითმფრინავმა სუიჯოუში 7 ყუმბარა გადმოჰყარა და ბევრი სახლი დაანგრია. იანვრის განმავლობაში იაპონელებმა სუიჯოუს 20-ჯერ დაუშინეს ყუმბარები.

ჩრდილო ჩინეთში

ხანკოუ, 1 თებერვალი (საკდესი). ტიანძინ-პუკოუს რკინიგზის ჩრდილოეთ უბანზე საომარ მოქმედებათა შესახებ ცნობები არ არის მიღებული.

შანდუნის ფრონტის ცენტრალურ სექტორში რკინიგზის ირგვლივ არსებული სიწყნარე იმით აიხსნება, რომ ორივე მხარის ჯარების კონცენტრაცია ხდება. აქ მოელიან დიდ ბრძოლას.

იზრდება აფხაზეთის კოლმეურნეობანი

სოხუმი, (საკ. კორ.). გასული წლის უხვმა საკოლმეურნეო მოსავალმა ერთხელ კიდევ დაარწმუნა აფხაზეთის მშრომელი მოსახლეობა, რომ კოლმეურნეობა ერთადერთი სწორი გზაა ნამდვილად შეძლებული და კულტურული ცხოვრებისაკენ.

საგაზაფხულო თესვის მზადებასთან დაკავშირებით აფხაზეთის ინდივიდუალური მეურნეობანი მასობრივად შედიან კოლმეურნეობებში. 13 იანვარს სოხუმის რაიონის კოლმეურნეობა „ახალ ცხოვრებაში“ შევიდა 25 ახალი კომლი. ამავე რაიონის მეორე ხუთწლედის სახ. კოლმეურნეობას ახლახან შეემატა 17 მეურნე. რაიონში აგრეთვე ჩამოყალიბდა ერთი ახალი მსხვილი კოლმეურნეობა.

სულ აფხაზეთის კოლმეურნეობებში უკანასკნელ დროს მიღებულია 238 კომლი.

დაუდევრობის ნაყოფი

თელავი, (საკ. კორ.). თელავის სახელმწიფო თეატრმა 29 იანვარს დასდგა ვალ. ტრახტენბერგის „წარჩინებული შვილიშვილი“ — კომედია სამ მოქმედებად, თარგმანი მიხეილ ხერხეულიძისა.

წარმოდგენას მაყურებლები დიდი უკმაყოფილებით შეხვდნენ, რადგან კომედიაში გაყალბებულია საბჭოთა სინამდვილე. პიესაში გამოყვანილი ტიპები არ შეეფერებიან საბჭოთა ადამიანის სახეს. მასში ჩვენი საკოლმეურნეო ცხოვრება გაშარჟებულად არის გადმოცემული.

საინტერესოა, რას ფიქრობდა თელავის თეატრის ხელმძღვანელობა, როდესაც ეს კომედია შეჰქონდა რეპერტუარში?

საჭიროა სათანადო ორგანიზაციები დაინტერესდნენ ამ მოვლენით და გამოასწორონ თეატრის მიერ დაშვებული შეცდომა.

ს. ყურაშვილი.

შ. რუსთაველის იუბილე

საზეიმო საღამოები

5 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, ნიკო გოცირიძის სახელობის 33-ე საშუალო სკოლა აწყობს შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოს.

პროგრამაშია მოხსენება შოთა რუსთაველზე, სალიტერატურო განყოფილება (მოწაფეთა თვითმოქმედება) და კონცერტი მოწვეული ძალებით.

ꝏ

შოთა რუსთაველის უკვდავი ქმნილების „ვეფხის-ტყაოსნის“ 750 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი (სართანიას ქ. № 6) 5 და 6 თებერვალს იწვევს კონფერენციას, რომელიც მიძღვნილია სპორტის სახალხო-ნაციონალური სახეებისადმი.

კონფერენციაზე მოსმენილი იქნება მოხსენებები გ. მერკვილაძისა — „ფიზიკური აღზრდა შოთა რუსთაველის ეპოქაში“ და დ. ჯანელიძისა—„სპორტული სანახაობანი რუსთაველის ეპოქაში“.

კონფერენცია განიხილავს ქართული ჭიდაობის, ჯირითისა და ლელოს წესებს.

ხელოვნების მუშაკთა სახლში

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა სამმართველომ დაამტკიცა თბილისის ხელოვნების მუშაკთა სახლის საბჭო 31 კაცის შემადგენლობით.

საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ორდენოსანი აკაკი ვასაძე.

საბჭოს პირველ სხდომაზე დამტკიცებულ იქნა ხელოვნებას მუშაკთა სახლის კეთილმოწყობის გეგმა და ხარჯთაღრიცხვა. ამასთან დადგენილ იქნა, რომ საბჭოს სხდომები მოწვეულ იქნას თვეში ერთხელ.

ჭ ა დ რ ა კ ი

თბილისის პირველობის გათამაშება

6 თებერვალს ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში იწყება თბილისის 1938 წლის საჭადრაკო პირველობის გათამაშება.

ტურნირში მონაწილეობას იღებს პირველი კატეგორიის 14 მოჭადრაკე, რომელნიც კენჭისყრით განაწილდნენ შემდეგნაირად: 1. არუთინოვი, 2. როლოვი, 3. სერედა, 4. ხოტელაშვილი, 5. მალუნცევი, 6. ფირცხალავა, 7. სოროკინი, 8. ღამბარაშვილი, 9. მირზაევი, 10. ებრალიძე, 11. აბრამიანი, 12. ვეიზერი, 13. შიშოვი და 14. ნერსესოვი.

საპატიო მიზეზების გამო ტურნირში მონაწილეობას ვერ მიიღებენ მაესტრო გ. გოგლიძე და ა. ფალავანდიშვილი.

თამაში იწარმოებს დეკადის მესამე და მეექვსე დღეებში.

პირველი ტური შესდგება 6 თებერვალს. თამაშობენ: არუთინოვი—ნერსესოვი, როლოვი — შიშოვი, სერედა — ვეიზერი, ხოტელაშვილი — აბრამიანი, მალუნცევი—ებრალიძე, ფირცხალავა — მირზაევი და სოროკინი — ღამბარაშვილი.

ꝏ

აღსანიშნავია, რომ თბილისის პირველობის გათამაშება ჭადრაკში 1925 წლიდან სისტემატურად ეწყობა. გამარჯვებულს ენიჭება თბილისის ჩემპიონის სახელი. წარსულ წლებში თბილისის ჩემპიონის სახელწოდება დაიმსახურეს შემდეგმა მოჭადრაკეებმა:

1925 წელს ალამალიანმა, 1926 წელს—სმოროდსკიმ, 1927 —გოგლიძემ, 1928 —ტალვიკმა, 1929—ნენაროკოვმა, 1930—გოგლიძემ, 1931—კასპარიანმა, 1932—გოგლიძემ, 1934—ებრალიძემ, 1935—ებრალიძემ, 1936—სოროკინმა და 1937 წელს—ებრალიძემ და ვეიზერმა.

1938 წლის პირველობის გათამაშებაში გამარჯვებულნი (ხუთი კაცი) დაჯილდოვებულა იქნებიან და დაიშვებიან მაესტროთა ტურნირზე, რომელიც აპრილში უნდა მოეწყოს.



საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მოფარიკავე, საკავშირო შეჯიბრების მონაწილე ამხ. გ. შერინა.

ფოტო ბლუმენფელდისა („სოიუზფოტო“ საქ. განყ.)

ბავშვები ერთობიან პლეხანოვის სახელობის კლუბის ბაღში.

ხელოვნება

ძველი ვოდევილების საღამო

საქართველოს ფილარმონიისა და ესტრადის სახელმწიფო გაერთიანებამ ესტრადის თეატრის სამუშაო გეგმაში შეიტანა ზოგიერთი იმ ძველი ქართული ვოდევილების აღდგენა, რომლებშიაც თავის დროზე გამოდიოდნენ ქართული სცენის კორიფეები.

ვოდევილების პირველი საღამო გაიმართება 7 თებერვალს. წარმოდგენილი იქნება ერთმოქმედებიანი ვოდევილი „ოინბაზი“ და ორმოქმედებიანი — „მშვენიერი ელენეს მაძიებელნი“.

სპექტაკლში მონაწილეობენ რესპუბლიკის სახ. არტისტები ელ. ჩერქეზიშვილი და ალ. იმედაშვილი, დამსახურებული არტისტები თ. ჭავჭავაძე და ვ. ანჯაფარიძე, მსახიობები ს. ჟორჟოლიანი, შ. გომელაური, გ. კუპრაშვილი, ალ. გომელაური, გ. შავგულიძე, ბეგალიშვილი, ვ. ლექავა.

ვოდევილები დადგმულია ვასო გოძიაშვილის მიერ, მხატვარია მ. გოცირიძე.

დ. შოსტაკოვიჩის კონცერტი

„საქფილეგთმა“ ერთი კონცერტისათვის თბილისში მოიწვია პიანისტი - კომპოზიტორი დ. შოსტაკოვიჩი. შოსტაკოვიჩი მონაწილეობას მიიღებს სიმფონიურ კონცერტში, რომელიც შესდგება 7 თებერვალს ოპერისა და ბალეტის თეატრში.

სიმფონიურ კონცერტს დირიჟორობს ლენინგრადელი დირიჟორი ნ. რაბინოვიჩი. კონცერტის პროგრამაშია ბეთჰოვენი, შჩერბაჩოვი და შოსტაკოვიჩი.

ექსპედიცია ატენის ხეობაში

გორის სამასწავლებლო ინსტიტუტმა საზამთრო არდადეგების განმავლობაში მოაწყო ექსპედიცია ატენის ხეობაში—ფოლკლორული და სადიალექტოლოგიო მასალების შესაგროვებლად. ექსპედიციაში შედიოდნენ ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები: ალ. ღლონტი და ილ. მაისურაძე, აგრეთვე სტუდენტები: ილ. ქერდიყოშვილი, ს. ლობჟანიძე და გ. ბარბაქაძე. მუშაობაში ფართოდ იყვნენ ჩაბმულნი ადგილობრივი მასწავლებლებიც.

ექსპედიცია მუშაობდა ატენის ხეობის შემდეგ სოფლებში: დიდი ატენი, პატარა ატენი, გარდატენი, ფუხაანთუბანი, ქექელაანთუბანი, ჯებირი, ვანიანთუბანი, პავლიანთუბანი, დეგეულა, ხიდისთავი და სხვ.

შეგროვილია უაღრესად მნიშვნელოვანი მასალა ხალხური სიტყვიერების ყველა დარგიდან (ხალხური ლექსები, ზღაპრები, თქმულებები, გადმოცემები, გამოცანები, ანდაზები, არაკები), აგრეთვე ლექსიკური და ტოპონიმიკური მასალები.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ხალხური ლექსები და ზღაპრები, რომელთა გამოქვეყნება კიდევ უფრო გაამდიდრებს ქართული ხალხური შემოქმედების საუნჯეს.

გორის სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექციის დადგენილებით, ექსპედიციის მიერ შეგროვილი მასალა გამოიცემა ცალკე წიგნად.

ახალი ფილმები

საქ. სახკინმრეწვის რეჟისორი [illegible] მაკაროვი ამჟამად მუშაობს [illegible] კინოკომედიაზე „ქალი მწვანეში“, სცენარი მ. ლაკერბაიასი. სურათის გადაღება სწარმოებდა აფხაზეთში, გაგრის რაიონში.

ფილმში მთავარ როლებს ასრულებენ: ა. თოიძე, ლ. ხოტივარი, ს. ჟორჟოლიანი, კ. მაჭარაძე და სხვ. ოპერატორები არიან დ. კანდელაკი და ლ. არზუმანოვი. ასისტენტია — ა. ლორთქიფანიძე.

რეჟისორი შ. ჩაგუნავა ამთავრებს შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი დიდი დოკუმენტალური ფილმის მონტაჟს. სურათში ნაჩვენებია გენიალური პოეტის ცხოვრებასა და მოღვაწეობასთან დაკავშირებული ადგილები — რუსთავი, ვარძია, ხერთვისი, დმანისი.

გადაღებულია მწერალთა კავშირის საიუბილეო პლენუმი, ჩაწერილია მწერლებისა და პოეტების გამოსვლა.

ꝏ

საქ. სახკინმრეწვი წელს პირველად იწყებს მოცულობითი მულტიპლიკაციის ათვისებას. ამ მიზნით მულტიპლიკაციის სტუდიასთან მოეწყო ახალი საამქროები: ქანდაკების, სამაკეტო, თოჯინებისა და საკოსტუმო.

გამოწერილია სპეციალური აპარატურა, შეკვეთილია ტექნიკური მოწყობილობა.

რეჟისორად იმუშავებს მხატვარი ს. ფედორჩენკო.

მზადდება მოცულობითი მულტიპლიკაციის სცენარები ქართული ხალხური ზღაპრების თემებზე.

შემთხვევები

— დაჯახება. 1 თებერვალს დღისით დიდი სისწრაფით მიმავალი ავტო-მანქანა № 04—76, რომელსაც მართავდა შოფერი ქ. დ. ცაგარელი, შაუმიანის ქუჩიდან ლაზარევის ქუჩაზე მობრუნების დროს დაეჯახა ეტლს, რომელიც უმნიშვნელოდ დააზიანა. შემდეგ მანქანა შეიჭრა ფილაქანზე, სადაც ამ დროს იდგა რამდენიმე მოქალაქე, და დააშავა მ. ვ. აბრამოვი (ელპინის ქ. № 5). ბოლოს მანქანა კედელს დაეჯახა. დაშავებული აბრამოვი საავადმყოფოში მოათავსეს. შოფერი პასუხისგებაში მისცეს.

— გაუფრთხილებლობის მსხვერპლი. 1 თებერვალს საღამოს შაუმიანის ქუჩაზე ტრამვაის ვაგონიდან ჩამოხტა მოქ. გ. ა. ტერ-მარტიროსოვი (დოლაბაურის ქ. № 44). ამ დროს ტრამვაის ვაგონს უვლიდა ავტომანქანა № 29—36, რომელსაც მართავდა შოფერი მ. ე. აბაშიძე. მანქანა დაეჯახა ტერ-მარტიროსოვს და დააშავა. მარტიროსოვი საავადმყოფოში მოათავსეს.

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში 4 თებერვალს

საქ. კ. პ. (ბ) ისტორიის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: მენშევიკები და ბოლშევიკები რუსეთ-იაპონიის ომისა და რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში (1904—1907 წ. წ.).

კონსულტანტი ქართულ ენაზე—ამხ. ზ. სიმონიშვილი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: ფაშისტური აგრესორები და მათი ხელისშემწყობნი.

კონსულტანტები: ქართულ ენაზე — ამხ. ლარცულიანი, რუსულ ენაზე — ამხ. გიორგაძე. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

ალკკ კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: ბოლშევიკების პარტია მუშათა მოძრაობის აღმავლობის წლებში პირველი იმპერიალისტური ომის წინ (1912—1914 წ. წ.).

კონსულტანტი ქართულ ენაზე ამხ. სიფრაშვილი.

ꝏ

4 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში შესდგება აგიტსემინარის მორიგი მეცადინეობა. აგიტატორების დასწრება სავალდებულოა.

ꝏ

საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთები: № 1521648, გაცემული მიხეილ ლაზარეს-ძე ელისაშვილის სახელზე, № 1534428—თომა სპირიდონის-ძე თიბილაშვილის სახელზე, № 1521674 — იასონ ევგენის-ძე დიასამიძის სახელზე, №1534483 — ზაქრო ლუკას-ძე ბუთურიშვილის სახელზე, № 1534275 — შალვა ძოსეს-ძე ტაბატაძის სახელზე და № 1521258 — ლევანტი გიორგის-ძე ჭედლიშვილის სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

პ.-მგ. რედაქტორის მოვალეობის დრ. აღმსრულებელი
ქ. შეროზია.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

4/II მუდმ. ადგ. ტალ. № 95 ლ ა ტ ა ვ რ ა
5/II მუდმ. ადგ. ტალ. № 96 ბ ა ლ ე ტ ი ე ს მ ე რ ა ლ დ ა
6/II ერთდრ. ტალ. № 2 დ ღ ი ს ი თ ევგენი ონეგინი დასაწყ. 12 საათზე.

დასაწყისი საღ. 8 საათზე
მუდმივი ადგილის ტალონები მიიღება სახოპერის ბუღალტერიაში. საჭიროა წარმოადგინოთ ხელშეკრულება და მიღების მინდობილობა.

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
1938 წ. სეზონი

4/II წარმოდგენა 91 ა ლ კ ა ზ ა რ
5/II წარმოდგენა 92 გმირთა თაობა
6/II წარმოდგენა 93 გმირთა თაობა

მაყურებელთა საყურადღებოდ
ზედა განსაცმელის შენახვა უფასოა
იმ საწარმო-დაწესებულებათა საყურადღებოდ, რომლებსაც შეძენილი აქვთ მუდმივი ადგილები: მე-4 გადასახადელი შეტანილ უნდა იქნას 15 თებერვლამდე. სალარო ღიაა 12 საათიდან 9 საათამდე. დასაწყ. 8 საათზე.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

4/II წარმ. № 94 ნაპერწკლიდან
5/II წარმ. № 95 [illegible]

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
სალარო ღიაა დილ. 12-დან საღ. 9 საათ.

სახკინო. ტელ. 3-11-44
[illegible]

ესტრადის თეატრი
პლეხანოვის პროსპ., 123. ტელ. 3-02-29
ჯაზ-ოპერეტის
მოსკოვის ანსამბლის გასტროლები

4 თებერვალს ტალონი № 34
I. რ ო ზ - მ ა რ ი
II. ჯაზ - კონცერტი
მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში არავის შეუშვებენ. დასაწყ. 8 ს. 30 წ.

7 თებერვალს ტალონი № 37
ძველი ვოდევილების საღამო
I. ოინბაზი. ვოდევილი 1 მოქმ.
II. მშვენიერი ელენეს მაძიებელნი კომედია 2 მოქმ.
დაწვრილებით აფიშებში.
დასაწყ. საღ. 8 ს. 30 წ.
ბილეთები იყიდება. 17642

დღეს სახკინოთეატრებში

ოქტომბერი პლეხანოვის გამზ. № 135
კომკავშირელი პლეხანოვის გამზ. № 91
რ. ლუქსემბურგის სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8
დამკვრელი პლეხანოვის გამზ. № 125
სპარტაკი რუსთაველის გამზ. № 23
არსენა კომუნალური ქ. № 9
26 კომ. სახელობის შაუმიანის მოედანი
ახალი ამბები

ახალი ხმოვანი მხატვრ. ფილმი ბ ა ლ ტ ი ე ლ ე ბ ი რეჟისორი ა. ფაინციმერი 1-ლი სეანსის დასაწყ. 6 ს.
ახალი ხმოვ. ფილმი საბჭოების ქვეყანა დასაწყ. 6-30
ხმოვანი ფილმი თეთრი იალქანი დასაწყ. 6 ს.
მე-4 ესკადრონი
ხმოვანი ფილმი სამშობლოს ასული დასაწყ. 6-30
ხმოვ. კინო-ნარკვევი დღესასწაული ტუნდრაში დასაწყისი 6-30

თანახმად საქ. სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 20 იანვრის დადგენილებისა № 31, საქ. სსრ სახალხო მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში მყოფი საჭილაოს სახერხი ქარხნის
ლიკვიდაცია
საჭილაოს სახერხი ქარხანა, მდებარეობს სოფ. მარანში (აბაშის რაიონი).
[illegible] ზია საჭილაოს სახერხი ქარხნისადმი მიმართონ შემდეგი მისამართით: სოფ. მარანი, საჭილაოს სახერხი ქარხანა, სალიკვიდაციო კომისიას—არა უგვიანეს 1938 წლის 13 თებერვლისა, ყოველდღიურად დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე, რის შემდეგ არავითარი პრეტენზია არ იქნება განხილული.
სალიკვიდაციო კომისია.
50

5 თებერვალს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს ფიზკულტურის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში (სართანიას ქ. № 6)
შოთა რუსთაველის პოემის დაწერის 750 წლისთავის
აღსანიშნავად შესდგება
ქართული სპორტის ნაციონალური ხალხური სახეებისადმი მიძღვნილი კონფერენცია,
რომელზედაც წაკითხული იქნება მოხსენებები რუსთაველის ეპოქაში ფიზიკური აღზრდისა და სპორტულ სანახაობათა შესახებ
მომხსენებლები: ამხ. მერკვილაძე და ჯანელიძე.
საქართველოს ფიზკულტ. სამეცნ.-საკვლევო ინსტიტუტი.
17640

თბილისის სახ. უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი აცხადებს,
რომ მიმდინარე წლის სახელმწიფო გამოცდების თებერვლის სესიაზე დაშვებულთათვის სწარმოებს კონსულტაცია ყველა საგანში ისტორიის კაბინეტში, აუდიტორია 73.
თბილისის სახ. უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი.
1027

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—5761, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მუშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქ. ქ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობის ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, კამოს ქ. № 68.

მთავლიტის რწმუნებული 238